ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

სამშაბათი, 13 სექტემბერი, 2016 №217 (7143) ფასი: 50 თეთრი

## თიბისი ბანკ რესპუბლიკას 315 მილიონ ლარად ყიდულობს




13 სექტემბრიდან
ვიქტორ ჰიუგო
პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი
ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




# ბიძინა ივანიშვილი: „პაატა ბურჭულაძემ უამრავი ფული მომთხოვა“






„ბაქრაძეს რამდენჯერმე შევთავაზე ნაციონალებიდან წამოსვლა“



## „ბურჭულაძის ჩაძირვა ნაციონალებისთვისაც მომგებიანია და „ოცნებისთვისაც“

ზაალ კასრელიშვილი: „მომდევნო 4 წელს „გადადექი, გადადექის“ ძახილში გავატარებთ“




## ჩოჩელი შეიძლება არჩევნებიდან მოხსნან






ყოფილი გუბერნატორი ქუცნაშვილს უჩივის




## „ქართული ოცნების“ სიებში ისეთი ადამიანები მოხვდნენ, ვინც ნაციონალებს აფინანსებდა“

## ვანო მაჭავარიანი უშიშროების საბჭოს მდივნად ინიშნება?




## ედპ და მრეწველები ცესკომ არჩევნებიდან მოხსნა

თამარ ჟვანია: „შესაძლოა, ზურაბ ტყემალაძემ ხვალ ისიც თქვას, რომ ობამამ დამირეკა“




ISSN 1987-9385
9 771987 938006



ზურაბ ტყემალაძე: „კარტრიჯი მკრთალი იყო და სია არ იკითხებოდა“

## გიორგი კვერენჩხილაძე საკონსტიტუციო ახალი თავმჯდომარე გახდება?




ლევან ალაფიშვილი: „გიორგი კვერენჩხილაძის თავმჯდომარედ არჩევა იქნება განახლების სიგნალი“

## რომის პაპი მიხეილ მესხის სტადიონზე მესას აღავლენს




ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ბიძინა ივანიშვილი: „პაატა ბურჭულაძემ უამრავი ფული მომთხოვა“

## „ბაქრაძეს რამდენჯერმე შევთავაზე ნაციონალებიდან წამოსვლა“

შორენა მარსაგიშვილი







ყოფილმა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა რეგიონულ მედიასთან მორიგი შეხვედრისას მორიგი სკანდალური განცხადებები გააკეთა.

მისი ახალი სამიზნე პაატა ბურჭულაძე აღმოჩნდა.

ივანიშვილის თქმით, თავის დროზე მან მსოფლიო ბანს გვერდით დადგომა შესთავაზა, რის სანაცვლოდ ბანმა მას ფული მოსთხოვა.

ივანიშვილი თანხის ზუსტ ოდენობას არ აკონკრეტებს.

– ყველაფერი კარგად გაირკვა ბურჭულაძეზე. გაიხსენეთ მისი პირველივე განცხადებები. ვნახეთ, სააკაშვილთან უკრაინაში რამდენჯერ ჩასულა და ძირითადად იქ დადის ეს კაცი. ფოტოები გამოქვეყნდა, ჩახუტებული სააკაშვილთან. სამი წელიწადია არ მინახავს და ვიყავი ნაწყენი იმიტომ, რომ თავის დროზე, როდესაც ვთხოვე, გვერდით დაგვიდექით-თქო უამრავი ფული მოითხოვა და შეურაცხყოფილი ვიყავი, რა თქმა უნდა, უარი ვუთხარი. იმის შემდეგ დაბადების დღე 60 წლისთავი სამჯერ გადაიხადა არც ერთხელ მივსულვარ, – განაცხადა ივანიშვილმა.

ამ ბრალდებას პაატა ბურჭულაძე გამოეხმაურა და მან თანხის ოდენობის დასახელება მოითხოვა.

– გულახდილად რომ გითხრათ, მე მაინტერესებს, რა თანხაზე იყო ლაპარაკი. ნუთუ ისეთი მოვთხოვე, რომ მას ძალიან გაუჭირდა ჩემთვის ფულის მოცემა? რა უნდა მომეთხოვა მე ისეთი, ალბათ, როგორც მეფეებს სთხოვენ, ნახევარი სამეფო მომეცი მეთქი, 3,5 მილიარდი. რა მოვთხოვე ისეთი, რომ მაგას გაუჭირდა? – განაცხადა ბურჭულაძემ ტვ პირველის ეთერში საუბრისას.

ყოფილმა პრემიერმა დავით ბაქრაძის გადაბირების მცდელობაზეც ისაუბრა. ამბობს, რომ მიზნის მისაღწევად პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს ერთი საათის მანძილზე აწვებოდა.

– ბაქრაძეზე ყველაზე მეტი მცდელობები მქონდა, რომ დატოვე და წამოდი-თქო. მეგონა, უფრო მოწესრიგებული კაცი იყო. სტრასბურგში შევხვდი და მთელი საათი ვაწვებოდი, არა გრცხვენია, რას ამბობ, ადექი, წამოდი-თქო, – აღნიშნა ექსპრემიერმა.

მან უყურადღებოდ არც პარლამენტის მოქმედი სპიკერი დატოვა. მისი თქმით, უსუფაშვილს უნდა შეეცვალა კონსტიტუციის ის ნაწილი, სადაც პრეზიდენტს არჩევნების გზით ირჩევენ.

– გაიხსენოს უსუფაშვილმა, გარდა იმისა, რომ ის სპიკერი გახდა, როცა შემეკითხა, რომ საკონსტიტუციო კომისია ყალიბდებაო, არც მიფიქრია, სხვა ყოფილიყო მისი თავმჯდომარე. ოთხი წელი გავიდა, აქ შედის ვახტანგ ხმალაძე და თითი თითზე არ დაუდევთ. ესაა ის, რასაც ვსაყვედურობდი. იქ ბევრი კანონი შესაცვლელი იყო პრეზიდენტზე. ერთ-ერთი, რაზეც ყველა ვთანხმდებოდით, პრეზიდენტის საჯარო არჩევა არ უნდა მოხდეს, როცა საპარლამენტო რესპუბლიკა გვაქვს, – აცხადებს ექსპრემიერი.

ბურჭულაძის მსგავსად, ივანიშვილის ბრალდებებს უსუფაშვილიც გამოეხმაურა და აღიარა, რომ მას აღარ ესმის ექსპრემიერის.

– დღითიდღე უფრო და უფრო მიჭირს ბატონი ბიძინას პოზიციების და განცხადებების გააზრება, გაგება. შეუძლებელია, თან იყო ზეპარტიული, ობიექტური და ყველას და ყველაფრის ობიექტურად განმსჯელი და თან იყო ერთი რომელიმე კონკრეტული ძალის მხარდამჭერი და მელაპარაკებოდე მის უალტერნატივობაზე, მის შეუცვლელობაზე და ასე შემდეგ. ეს გზა არის არასწორი და მე ვისურვებდი, რომ ბატონი ბიძინა ჩამოყალიბდეს, – განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

# ჩოჩელი შეიძლება არჩევნებიდან მოხსნან

## ყოფილი გუბერნატორი ქუცნაშვილს უჩივის

შორენა მარსაგიშვილი



სამეფო ქალაქში პოლიტიკური ვნებები პიკს აღწევს. ცეზარ ჩოჩელის და დიმიტრი ხუნდაძის დაპირისპირებაში უკვე ბიძინა ივანიშვილიც ჩაერთო. მან ხუნდაძის მხარე დაიჭირა, რის შემდეგაც მთელმა „ქართულმა ოცნებამ“ იწყო ჩოჩელის გმობა.

არადა წინა კვირას მათ ხუნდაძის დასაცავად ხმა არ დასცდენიათ. ალბათ იმიტომ, რომ მაშინ ივანიშვილმა ჩოჩელი თბილი სიტყვებით მოიხსენია. გუშინ, 12 სექტემბერს კი განაცხადა, შემეშალა, მაგის ნაცვლად გოჩა ენუქიძე უნდა შემექოო.

ამ შეცდომისთვის მან დიმიტრი ხუნდაძეს საჯაროდ ბოდიში მოუხადა და აღიარა, რომ დეპუტატმა მას ამის გამო უსაყვედურა.

ხუნდაძის მიერ შერისხულმა ყოფილმა პრემიერმა თავისი შეცდომა ჟურნალისტებს დააბრალა.

– განმარტება მინდა გავაკეთო სამეგრელოში ჟურნალისტის მიერ დასმულ კითხვაზე, რომელშიც კითხვაშივე იყო ცდომილება, როდესაც მან მკითხა ნაციონალური მოძრაობის ყოფილი წევრებზე, რომლებიც გადმოვიდნენ და „ქართული ოცნების“ წევრები არიან, მათ შორის ოქრიაშვილზე და ცეზარ ჩოჩელზე. სხვათა შორის, გვარებს ცუდად ვიმახსოვრებ, გადაცდომა მომივიდა, ჟურნალისტის გადაცდომას გადავყევი, როდესაც ვთქვი, რომ ისინი მაჟორიტარები გადმოვიდნენ, თავისი თავი თვითონ შექმნეს და ასე შემდგომ.

ამ დროს სულ არ ყოფილა ჩოჩელი იმ სიაში, ვინც პარლამენტში იყვნენ. მოგეხსენებათ, დეპუტატების ჯგუფი იყო, ვინც პარლამენტში შევიდნენ ნაციონალური მოძრაობის დროს და მაშინვე, როგორც კი დამთავრდა არჩევნები, გადმოვიდნენ „ქართული ოცნების“ მხარეს. ჟურნალისტის კითხვაშივე ისმოდა, ჩოჩელი არ ყოფილა იმ ჯგუფში, გადაცდომა მომივიდა.

ბოდიშიც მოვუხადე, მართლაც შემეშალა. დიმიტრი ხუნდაძე არის ჩემი ერთ-ერთი ფავორიტი მეომარი, რომელიც საოცრად არაორდინალურად ჩაერთო ჩვენს გუნდში. მახსოვს, როდესაც მოვედი პოლიტიკაში, 2011 წელს, დიმიტრი ხუნდაძე გახლდათ ჩემი ოჯახის ექიმი, სხვათა შორის, ძალიან კვალიფიციური ექიმია, სამწუხაროდ, ექიმობას ველარ ახერხებს და მას რჩევებს ვეკითხებოდი, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

მისი განმარტებით, მან პირადად სთხოვა დიმიტრი ხუნდაძეს, მაჟორიტარად ეყარა კენჭი.

– მცხეთაში ვერ მოვახერხეთ კანდიდატის შერჩევა, ვისზეც გავაკეთეთ აქცენტი, ჩაგვეშალა, მერე მეორე შეგვეშალა, მესამე და სულ მეხმარებოდა ამ პროცესში, რაღაც დროს დავრჩით ასე, აღარ გვყავდა კანდიდატი. ასე შევხედე დიმიტრის, ხომ არ წახვალ მეთქი და უი, რას ამბობ, ბატონო ბიძინა, არასდროს პოლიტიკაზე არ მიფიქრია. აი, ასეთი კაცია, ასე დავითანხმე, ასე შემოვიდა. ძალიან სწრაფად გადაეწყო, ნიჭიერი კაცია, – აღნიშნა ექსპრემიერმა.

მისივე თქმით, მას და ხუნდაძეს 4 წლის წინ კამერების დანახვაზე სისხლში შაქარი უწევდათ.

ივანიშვილის მიერ შეცდომის აღიარების შემდეგ მეოცნებეებმა ექსგუბერნატორი შეაჩვენეს. პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გია ვოლსკიმ ისეთი განცხადება გააკეთა, რომ შესაძლოა ჩოჩელი არჩევნებიდან მოხსნან.

ვოლსკის ინფორმაციით, ყოფილი გუბერნატორი რაღაც თანხებს არიგებს. დეპუტატი ითხოვს, რომ ეს საკითხი სათანადო ორგანოებმა შეისწავლონ.

– ინფორმაცია მაქვს, რომ ჩოჩელი ფულს უკანონოდაც ხარჯავს, მისი დაქვემდებარების ერთმა-ორმა კომპანიამ რაღაც ტრანზაქციებიც განახორციელა და ამაზე მისაქცევია ყურადღება. ხალხში არის მოარული ხმები და არსებობს ასეთი ინფორმაცია, რომ იქ რაღაც თანხებს არიგებს, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში გია ვოლსკიმ.

თუ დეპუტატობის კანდიდატს ამომრჩევლის მოსყიდვა დაუმტკიცდა, მას არჩევნებიდან მოხსნიან.

ვოლსკის განცხადებას სასწრაფოდ გამოეხმაურა ივანიშვილის მიერ შეცდომით ნაქები ჩოჩელი. ის ვოლსკის ურჩევს, რომ ამომრჩევლის მოსყიდვაზე კითხვები დიმიტრი ხუნდაძეს დაუსვას.



– სრულიად სამარცხვინოა ეს განცხადება, ვოლსკი არის მაღალი თანამდებობის პირი. ის 11 სექტემბერს საღამოს იმყოფებოდა წეროვანში და სჯობდა თავის მეგობრისთვის დაესვა კითხვა, რატომ დასჭირდა დაახლოებით 250 კაცის მობილიზება სხვადასხვა სოფლებიდან და რაიონებიდან, როდესაც იმ დასახლებაში, სადაც იმყოფებოდნენ, იყო დაახლოებით 5.500 ამომრჩეველი და იქიდან დაახლოებით 58 იმყოფებოდა შეხვედრაზე. ეს მეტყველებს იმაზე, რომ ფულის დარიგებაც, დაშინებაც და მოსყიდვაც სჭირდებათ ხუნდაძის დასახმარებლად. ვურჩევდი, ნუ გადააყოლებენ თავის პარტიის ინტერესებს ხუნდაძის ინტერესებს, – აცხადებს ჩოჩელი.

ყოფილი გუბერნატორი ამტკიცებს, რომ მას არასდროს არავინ მოუსყიდია და არავისთან გარიგებაში არ შესულა.

ამის გარდა, ის ხელისუფლების წარმომადგენლებს ურჩევს, ამომრჩევლებთან მთვრალები არ მივიდნენ.

– ეს არჩევნები არც დასაწყისია და არც დასასრული. ურჩევნიათ, სხვა თემებზე გაამახვილონ ყურადღება და უკვე სირცხვილია ამ კაცის ხელით ტარება სოფელ-სოფელ და, სხვათა შორის, მზადდება ერთი სარჩელი ზაქარია ქუცნაშვილთან დაკავშირებით და ამ დღეებში შევა. მე ვურჩევდი მათ, ნაბახუსევი არ მივიდნენ მოსახლეობასთან შეხვედრაზე. ეს ინფორმაცია არის იმ ხალხის ინფორმაცია, შეგიძლია წახვიდეთ და იმ ხალხს ჰკითხოთ, ყოველ შემთხვევაში, მთელი წეროვანი საუბრობს, რომ არ იყვნენ ფხიზელ მდგომარეობაში. მრცხვენია, ვიცე-პრემიერის თანდასწრებით ასე უხამსად რომ იქცევიან და იმის ნაცვლად, რომ მოახდინონ პროგრამის წარდგენა, ხდება ცილისწამების გავრცელება, – აღნიშნა რომის იმპერატორის სეხნიამ.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ქართული ოცნების“ სიებში ისეთი ადამიანები მოხვდნენ, ვინც ნაციონალებს აფინანსებდა“

ნონა ცაბაძე

ბოლო პერიოდის პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში უფლებადამცველი **ნანა კაკაბაძე** აფასებს.

***– ქალბატონო ნანა, გოგა ხაინდრავას ფილმს „ჰეროკრატია“ დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა საზოგადოებაში. სერიოზული კრიტიკა გვესმის. კეთდება შეფასებები, რომ ეს ფილმი უარყოფით შედეგს მოიტანს, რომ ყველაფერი გამოგონილია და ასე შემდეგ. თქვენ უშუალო შეხება გქონდათ პატიმრებთან და რისი თქმა შეგიძლიათ ამასთან დაკავშირებით?***

– სანამ ეს ფილმი ეკრანზე გამოჩნდებოდა, მანამდე დაიწყო ნაციონალური მოძრაობის მხრიდან უარყოფითი შეფასებები და გალაშქრება ამის წინააღმდეგ. მათ ზუსტად იცოდნენ, რომ ამ ფილმში მაქსიმალურად იქნებოდა მიახლოებული ის რეალობა, რაც 9 წლის განმავლობაში ხდებოდა.

***– რამდენად არის ეს ფილმი რეალობასთან ახლოს?***

– ამ ფილმს პოლიტპატიმრებთან ერთად ვუყურე. 180-ზე მეტი ადამიანი ჩამოვიდა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებიდან ამ ფილმის საყურებლად.

***– როგორი იყო მათი რეაქცია?***

– ეს ადამიანები ამბობდნენ, რომ ფილმი მიახლოებულია რეალობასთან, მაგრამ მსახიობს მაინც არ შეუძლია სრულად გადმოსცეს ის სატანჯველი, რაც მათ თავს ხდებოდა. მიაჩნიათ, რომ ფილმი შედარებით მსუბუქია, ვიდრე იყო რეალობაში. ისინიც თვლიან, რომ მომავალმა თაობამ უნდა იცოდეს, თუ რა ხდებოდა ნაციონალების მმართველობის პერიოდში.

***– მოვისმინეთ შეფასებებიც, რომ ეს არის წინასაარჩევნო პიარი, რომ „ოცნება“ ისევ ძველი კადრებით ცდილობს ფონს გავიდეს.***

– ეს ვერ იქნება „ქართული ოცნებისათვის“ პიარი. ის პოლიტიკა, რომელიც მათ წარმართეს და ეს ფილმი ორი სხვადასხვა რეალობაა. ვინც ნახა ეს ფილმი, ყველას ეს განცდა გაუჩნდა – ამ დალოცვილებმა, თუ რეალობა ასეთნაირად იცოდნენ, როგორ არ მოახდინეს ამ დამნაშავეების პასუხისგება?! დღეს კი „ქართული ოცნების“ სიებში ისეთი ადამიანები მოხვდნენ, ვინც ამ რეჟიმს აფინანსებდა, ამაგრებდა და ამყარებდა. ადამიანები, რომლებმაც ციხის კადრების შემდეგ ნაციონალების სიით მიიღეს არჩევნებში მონაწილეობა, როგორ შეიძლება დღეს „ოცნების“ სიით მონაწილეობდნენ არჩევნებში?!

***– მაშინ გამოდის, რომ ეს ფილმი ანტირეკლამა იქნება ხელისუფლებისთვის, რადგან მან დანაპირები სამართლიანობა არ აღადგინა. ეს „ოცნებამ“ ვერ გათვალა?***

– ეს ფილმი „ქართული ოცნების“ ამომრჩეველზე არ იმოქმედებს დადებითად. თუმცა როდესაც ჯიხურში შედის შემოსახაზად, ის რჩება იმ რეალობის წინაშე, რომ მაშინ ვინ?! სხვა ალტერნატივა დღეს ქვეყანაში არ არსებობს. სხვა დანარჩენი კიდევ უარესია. ამ არჩევნებზე ამ სამწუხარო რეალობის წინაშე ვართ, არჩევანი „ოცნებასა“ და ნაციონალებს შორის კეთდება.

***– არჩევანი ცუდსა და უარესს შორის?***

– დღეს ჩვენ სხვა არჩევანი არ გაგვაჩნია და ეს არის ძალიან ცუდი! როდესაც ჩვენ ვლაპარაკობდით, რომ აქ შეიქმნებოდა ევროპული დემოკრატია, ეს არ მოხდა. დღეს ბიძინა ივანიშვილის გვერდის ავლით ვერავინ ბედავს დააფინანსოს, ან გვერდით დაუდგეს ნორმალურ ეროვნულ ძალებს. დღეს დიდი ფული ან არის ნაციონალური მოძრაობის და მათი სატელიტების ხელში, ან ბიძინა ივანიშვილის ხელში. მესამე ფული ქვეყანაში არ არსებობს.

***– ეს ორი ძალა ქმნის დღეს პოლიტიკას ქვეყანაში?***

– ამ ორი ძალის ფული ქმნის დღეს რეალურად პოლიტიკას. ის 15 ადამიანი, რომელიც საგურამოში წარადგინა, არ ვიცი, მათ რა კავშირი აქვთ ილია ჭავჭავაძესთან, ეროვნულობასთან. ისინი პირდაპირი ჯაშუშები არიან უცხო ქვეყნის. როდესაც ამ ადამიანების სია გამოქვეყნდა, იქ უკვე ყველაფერი ნათელი იყო.



***– რა იყო ნათელი?***

– რომ პირველი კოჭი გაუგორეს სწორედ ამერიკის საელჩოს, დასავლეთს. პირველი პრეზენტაცია სწორედ ამას ნიშნავდა. დასავლეთი თავის ინტერესს ორივე ფრონტზე ატარებს, როგორც ნაციონალური მოძრაობის, ისე „ქართული ოცნების“ მეშვეობით.

***– პრორუსული ძალებიც ხომ არიან?***

– რუსეთის პოლიტიკურ ინტერესს მე დღეს ვერ ვხედავ ქართულ პოლიტიკაში. რა ინტერესიც არის დასავლეთის, ამას ახორციელებს ბიძინა ივანიშვილი და ამას ახორციელებს ნაციონალური მოძრაობა.

***– ეს აისახა „ოცნების“ სიაზე?***

– რასაკვირველია, აისახა! დღეს ჩვენი ქვეყანა დამონებულ მდგომარეობაშია, მისი დამოუკიდებლობა მხოლოდ ფარატინა ფურცელია და სხვა არაფერი. ეს მკაფიოდ არის ასახული „ოცნების“ სიაში და იმ პოლიტიკაში, რომელსაც კვირიკაშვილი ატარებს.

***– რას უწუნებთ კვირკაშვილის პოლიტიკას?***

– კვირიკაშვილმა ვერ გაბედა პლებისციტის გამოცხადება საკონსტიტუციო ცვლილებასთან დაკავშირებით, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა. მიუხედავად იმისა, რომ მან ზუსტად იცოდა, ეს პლებისციტი ხალხს გამოიყვანდა სახლებიდან და მიიყვანდა საარჩევნო უბანთან. ეს ხომ მათთვის მომგებიანი იქნებოდა? ამის მიუხედავად, ეს ვერ გააკეთა! ამბობს ტყუილს, რომ კანონში ეს ცვლილება შევა მას შემდეგ, რაც ის უმრავლესობით შევა პარლამენტში.

ეს რომ გაეკეთებინა, მაშინ ვერც ერთი დეპუტატი ვერ გაბედავდა ამის წინააღმდეგ მიეცა ხმა, ვერც ჩუგოშვილი და მისნაირი ჩანერგილი აგენტები.

***– ვისგან არის ჩანერგილი?***

– ის მთელი თავისი არსებობის მანძილზე მხოლოდ უცხო ქვეყნის ინტერესების განმხორციელებელი იყო. ეს იყო ადამიანი, რომელიც პირველი დაუპირისპირდა პოლიტპატიმრების სიას. იმიტომ, რომ პოლიტპატიმრები არა მარტო ნაციონალური მოძრაობისთვის იყო ხარაკირი, არამედ ეს იყო ხარაკირი იმ დასავლეთისთვის, იმ ამერიკისთვის, რომელიც მხარს უჭერდა იმ ბოროტ ძალას, რომელიც ქვეყანაში ქმნიდა სისტემას იმისას, რომ არსებულიყო პოლიტიკური პატიმრები.

***– ჩუგოშვილი რა შუაშია ამ ყველაფერთან?***

– სწორედ ჩუგოშვილს არ უნდოდა, რომ ის ერთადერთი მტკიცებულება, რომელიც ასე დიდი ძალდატანებით შეიქმნა, არ შექმნილიყო. სწორედ ჩუგოშვილი იყო ის ადამიანი, რომელმაც პირველმა, რომ კითხვები არსებობს ამ სიებთან დაკავშირებითო, თუნდაც ის განცხადება, რომელიც მან 26 მაისთან დაკავშირებით გააკეთა...

***– რომელ განცხადებას გულისხმობთ?***

– პოლიციელებს რომ მოუწოდა, დიახ, თქვენ გაქვთ დარბევის უფლება, როგორც კი მომიტინგეებს სანქციის ვადა ამოეწურებათო, როცა საქართველოში სანქცირებული მიტინგები აღარ არსებობს და კანონმდებლობა არანაირ სანქციებს არ ითვალისწინებს. მან დაკვეთა შეასრულა, რა განცხადებაც დაუწერეს, ის განცხადება წაიკითხა. ხელ-ფეხი გაუხსნა ნაციონალებს იმ სისხლისღვრისკენ, რომელიც 26 მაისს განახორციელეს.

ასევე ჩუგოშვილი იყო ის ადამიანი, რომელმაც პატრიარქის წინააღმდეგ გაილაშქრა, იგივე ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ გაილაშქრა, როცა თქვა, პატრიარქის ვიზიტი რომ დააფინანსა, ეს ამომრჩევლის მოსყიდვა იყოო.

***– მაშინ რატომ მოხვდა ის „ოცნების“ წამყვან სიაში?***

– კვირიკაშვილის შემდგომ უნდა ყოფილიყო სიაში, თუმცა, როცა გავაკეთე განცხადებები, გადაანაცვლეს და მეოთხე ნომრად არის წარმოდგენილი. ადამიანი, რომელიც ყველაზე სისხლიანი ტერორის თანამონაწილე იყო, ნაციონალებთან ერთად. და თუ ეს ასე არ არის, გამოვიდეს ვინმე და შემეკამათოს. რატომ ვერ გაბედეს და რატომ ვერ ჩასვეს მაჟორიტარად ეს ადამიანი?

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ ზუსტად იცოდნენ, რომ ერთ ხმასაც ვერ აიღებდა. პირველ თხუთმეტეულში სწორედ ისეთი ადამიანები ჩასვეს, ვინც მათ ხმებს ვერ მოუტანდა. რომ გარანტირებული ყოფილიყო მათი მოხვედრა პარლამენტში და ამ მხრივ პრობლემა არ შექმნოდათ. სწორედ ეს სია არის საბუთი იმისა, რომ ამ ქვეყანაში დამოუკიდებლობა არის საბრძოლველი და მოსაპოვებელი!

# ედპ და მრეწველები ცესკომ არჩევნებიდან მოხსნა

ცესკომ ედპ და მრეწველები არჩევნებიდან მოხსნა.

მისის თავმჯდომარის, თამარ ჟვანიას განცხადებით, ეს გადაწყვეტილება აბსოლუტურად კანონიერია.

როგორც ჟვანიამ ტელეკომპანია იმედის ეთერში განაცხადა, ამ პარტიებს დადგენილ ვადებში არ წარმოუდგენიათ პარტიული სია, რაც ამ გადაწყვეტილების მიღების კანონიერი საფუძველია.

– კანონით დადგენილ ვადებში უნდა წარმოდგენილიყო პოლიტიკური პარტიების მიერ საარჩევნო სია და თანდართული დოკუმენტაცია. ამ შემთხვევაში არა მხოლოდ „მრეწველების“, არამედ „ედპ“-ს შემთხვევაშიც არ იყო წარმოდგენილი პარტიული სია, რაც გახდა გადაწყვეტილების საფუძველი. ეს არის აბსოლუტურად კანონიერი საფუძველი, – განაცხადა თამარ ჟვანიამ.

მისი თქმით, კანონი პირდაპირ ამბობს, რომ საარჩევნო რეგისტრაცია გაუქმდება, თუ პარტიული სია არ იქნება წარმოდგენილი.



**თამარ ჟვანია: „შესაძლოა, ზურაბ ტყემალაძემ ხვალ ისიც თქვას, რომ ობამამ დამირეკა“**

– გადავამოწმე, მე თავად ვიყავი კანცელარიაში, სადაც დავრწმუნდი, რომ პარტიული სია არ იყო წარმოდგენილი იმ დროისთვის, რასაც კანონი ადგენს. ამ შემთხვევაში, ჩვენ კიდევ უფრო მეტი გავაკეთეთ, რათა ვინმეს კითხვები არავის დარჩენოდა. დამატებით გამოვიკითხეთ და მოვიკვლიეთ ყველა საკითხი, რამე ხომ არ იყო ხარვეზი, მაგრამ რაიმე ხარვეზს ადგილი არ ჰქონია. დღეის მდგომარეობითაც, საარჩევნო ადმინისტრაციაში სია არ არის რეგისტრირებული, – განაცხადა ქ-მა ჟვანიამ.

მისივე თქმით, ყველა რეგისტრირებული პარტია თუ ბლოკი ვადების შესახებ ინფორმირებული იყო.

– როგორ შეიძლება, რომ ისეთი გამოცდილი პარტია, როგორიც არის „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, არ ყოფილიყო ინფორმირებული? ეს ყოველთვის ასე იყო. ეს არ არის პირველი არჩევნები, რომ ვადებთან დაკავშირებით რაიმე შეცვლილიყო. ყველა რეგისტრირებულ პარტიას, ყველა რეგისტრირებულ ბლოკს ჰქონდა ინფორმაცია საბუთების, დოკუმენტაციის და პარტიული სიის წარმოდგენის შესახებ. ძალიან მიჭირს იმაზე საუბარი, რაში იყო პრობლემა და რაში იყო შეცდომა, ეს პარტიის შიგნით უკეთესად ეცოდინებათ, – აღნიშნა ცესკოს თავმჯდომარემ.

მან კომენტარი გააკეთა „მრეწველების“ ერთ-ერთი ლიდერის, ზურაბ ტყემალაძის განცხადებაზე, რომ ჟვანიამ აღნიშნული გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც ენდიაი და აირაი დაუკავშირდნენ და ამის შესახებ ცესკოს თავმჯდომარემ თავად უთხრა.

– მსგავსი რამ ბატონი ზურასთვის ნამდვილად არ მითქვამს, რომ ენდიაიმ და აირაიმ საერთოდ დამირეკა „თოფაძე-მრეწველების“ საკითხთან დაკავშირებით. ამაზე მეღიმება კიდეც კომენტარის გაკეთება. ამ ორგანიზაციებს არ დაურეკავთ და არ დაინტერესებულან ამ კონკრეტული საკითხით. ზოგადად, დამკვირვებლები ყველა საკითხით ინტერესდებიან, მაგრამ ასეთი რამ არ მომხდარა. ბატონი ზურა საუბრობდა, რომ მე ამერიკის ელჩმაც დამირეკა და ამაზეც მეღიმება. შესაძლოა, ბატონმა ზურამ ხვალ ისიც თქვას, რომ ობამამ დამირეკა, – აღნიშნა თამარ ჟვანიამ.



**ზურაბ ტყემალაძე: „კარტრიჯი მკრთალი იყო და სია არ იკითხებოდა“**

* * *

ზურაბ ტყემალაძის განცხადებით, დოკუმენტაციაში, რომელიც მისმა პარტიამ ცესკოში წარადგინა, პარტიის საარჩევნო სიაც იყო. მისი თქმით, დოკუმენტაციის რამდენიმე გვერდი კარტრიჯის სიმკრთალის გამო ძნელად იკითხებოდა.

– ბეჭდვითი სიის რამდენიმე გვერდი, კარტრიჯის სიმკრთალის გამო, კარგად არ იკითხებოდა და თუ დაადგენდნენ ამის ხარვეზს, ჩვენ შევცვლიდით, – განაცხადა ტყემელაძემ.

მისი თქმით, ცესკოს კონკრეტულად ეს ფაქტი არ ჩაუთვლია ხარვეზად და იმის მიუხედავად, რომ სია რეალურად არსებობდა, პარტია რეგისტრაციიდან მაინც მოხსნა.

კურიიერის პირდაპირ ეთერში საუბრის დროს ზურაბ ტყემელაძემ არ ისურვა იმ სიის თანმიმდევრობის გასაჯაროება.

ტყემალაძის განცხადებით, ცესკომ მათ მისცა დოკუმენტი, სადაც აღნიშნულია, რომ მათ ჩააბარეს სია და ყველასაჭირო დოკუმენტი. მრეწველთა ერთ-ერთი ლიდერის თქმით, პარტია ცესკოს წინააღმდეგ სამართლებრივ დავას იწყებს და ასე შეეცდება საკუთარი სიმართლის დადასტურებას.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# „ბურჭულაძის ჩაძირვა ნაციონალებისთვისაც მომგებიანია და „ოცნებისთვისაც“

## ზაალ კასრელიშვილი: „მომდევნო 4 წელს „გადადექი, გადადექის“ ძახილში გავატარებთ“

შორენა მარსაგიშვილი

ვინ შეუწყვიტა დაფინანსება პაატა ბურჭულაძეს, ვინ აიძულა მას საარჩევნო ბლოკში შესვლა, უნდა ველოდოთ თუ არა არეულობას? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ კავკასიის ხალხთა კონფედერაციის პრეზიდენტი, ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.

**ზაალ კასრელიშვილი:**

– 2013 წლის დასაწყისში ჩვენ გამოვედით ინიციატივით, რომ „ქართულ ოცნებას“ პრეზიდენტობის კანდიდატად პაატა ბურჭულაძე დაესახელებინა. რაკი პრეზიდენტის უფლებამოსილება შეზღუდულია, ვთვლიდით, რომ საერთაშორისო საზოგადოებისთვის ის ძალიან მისაღები კანდიდატურა იქნებოდა.

გარდა იმისა, რომ მას კარგად იცნობენ მუსიკალურ სამყაროში, ის ძალიან ბევრ ევროპელ ლიდერთან მეგობრობს. სწორედ ამიტომ გვინდოდა, რომ ის წარედგინათ პრეზიდენტობის კანდიდატად.

*– პაატა ბურჭულაძე თანახმა იყო?*

– ეს ჩვენი ინიციატივა იყო და მასთან წინასწარ კონსულტაციები არ გვიწარმოებია.

*– „ოცნებაში“ რა თქვეს ამ შეთავაზებაზე?*

– არც მათთან გვისაუბრია ამ თემაზე და რაკიღა მარგველაშვილი დაასახელეს, ჩვენი ინიციატივა ალბათ არ მოეწონათ. არადა, ბურჭულაძე არ იყო ცუდი კანდიდატურა.

*– თქვენ მაშინ მის მიმართ დადებითად იყავით განწყობილი, ახლაც იგივე განწყობა გაქვთ თუ თქვენც შეგეცვალათ დამოკიდებულება მისი პოლიტიკაში მოსვლის გამო?*

– რა მნიშვნელობა აქვს ჩემს დამოკიდებულებას, ფაქტია, რომ მან შექმნა პარტია, რომელმაც ძალიან კარგი სტარტი აიღო. არეულობა პარტიაში შიგნიდან დაიწყო. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მისი თანაპარტიელების დიდი ნაწილი უკმაყოფილოა..

*– რითი არიან უკმაყოფილო?*

– რამდენიმე მიზეზის გამო. თავდაპირველად უკმაყოფილების მიზეზი დაფინანსების შეწყვეტა გახდა. თანამშრომლებს ხელფასს ველარ უხდიდნენ, რის შემდეგაც პარტიის ხელმძღვანელობამ პოლიტიკური ინვესტორების ძებნა დაიწყო.

*– ეს ინვესტორები იმ პარტიაში იპოვა, ვისთან ერთადაც საარჩევნო ბლოკი შექმნა?*

– ის ყველაფერს ელოდა, მაგრამ არა საარჩევნო ბლოკის შექმნას. ეს ინფორმაცია დანამდვილებით ვიცი.

*– მას საარჩევნო ბლოკში შესვლა არ სურდა?*

– მას ბლოკის გაკეთება ბევრჯერ შესთავაზეს. რამდენიმე პარტიის ლიდერი პირადად გავიდა პაატასთან კონტაქტზე, მაგრამ მან გაერთიანებაზე უარი თქვა. აგვისტოში ის საარჩევნო ბლოკის შემადგენლობაში აღმოჩნდა. ეს ყველასთვის, მათ შორის ჩვენთვისაც გაუგებარი ამბავი აღმოჩნდა.

*– ვიღაცამ დაფინანსება შეუწყვიტა და ისიც იძულებული გახდა, იმათთან გაერთიანებულიყო, ვისაც მანამდე უარი უთხრა ბლოკის შექმნაზე?*

– ვიღაცამ დაფინანსება შეუწყვიტა, თავისი ფული გაუთავდათ, გამოყოფილი თანხა არ ეყოთ თუ ეს ყველაფერი იმიჯის შესაფუთი აქცია იყო, ეს მათ გარდა არავინ იცის. გარედან თუ შევხედავთ ამ ყველაფერს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ პარტიის შექმნა ემსახურებოდა ერთ მიზანს – დაეწყოთ პოლიტიკური ვაჭრობა.



პაატა ბურჭულაძემ თავისი იმიჯი გამოიყენა, გაბრენდდა პარტია, რეალურად შედეგზეც გავიდა – მის მიერ გამართულ შეხვედრებს უამრავი ადამიანი ესწრებოდა. მასობრივი შეხვედრების ფონზე წაიყვანა წინასაარჩევნო კამპანია. ეს მან სპეციალურად გააკეთა – დაინტერესებულ პირებს აჩვენა თავისი შესაძლებლობები და უფრო მაღალი ფასი დაიდო. ბოლოს, როგორც ჩანს, დაინტერესებულ პირებს სარფიანად მიჰყიდა ბრენდი.

მინდა თქვენმა მკითხველმა იცოდეს, რომ ბურჭულაძის პარტია სტრუქტურულად ერთ-ერთი ყველაზე აწყობილი იყო. ისეთი კვალიფიციური კადრები ჰყავდა, რომ ბევრ დიდი ხნის პარტიას შეშურდებოდა.

*– ასე უცბად საიდან მოიყვანა კვალიფიციური კადრები?*

– მის გარშემო თავი მოიყარეს საარჩევნო საქმიანობაში დახელოვნებულმა პროფესიონალებმა. არჩევნების ერთი ნაწილია პიარი და პიროვნება, ხოლო მეორე ნაწილია წმინდა ტექნიკური მომსახურება. კვალიფიციური კადრების გარეშე არჩევნებს ვერავინ მოიგებს.

*– ეს პროფესიონალები ახლა სად არიან?*

– რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, მათი დიდი ნაწილი პაატა ბურჭულაძეს გაერიდა. რა მოხდა და როგორ მოხდა, ამას დრო აჩვენებს. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ძალიან გულდასაწყვეტია, რაც მოხდა.

*– გულდასაწყვეტი რატომ არის?*

– ამ ადამიანს შეეძლო სახალხო ლიდერი გამხდარიყო. მას შეეძლო გამხდარიყო სახე, რომელსაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ყოველგვარი დაპირებების გარეშე დაუჭერდა მხარს.

*– ახლა რისი შანსები აქვს?*

– ახლა თავი 5%-იანის ზღვარზე დადო. რამდენად უღირდა ეს ყველაფერი, არ ვიცი. არც ის ვიცი, ამერიკის შეერთებულ შტატებში მისი წასვლა რა მიზანს ემსახურებოდა. იქიდან მას არანაირი შედეგი არ ჩამოუტანია.

*– იქნებ სწორედ საარჩევნო ბლოკის შემადგენლობაში შესვლა იყო ის შედეგი, რასაც მან ამერიკაში მიაღწია?*

– ასეთი დასკვნის გაკეთება თამამად შეიძლება. როგორც უკვე გითხარით, ალბათ იმიტომ შექმნა პარტია, რომ ამით ევაჭრა. ფაქტია, რომ ამ ადამიანმა პოლიტიკურ მდინარეში შეცურა და კისერზე დაიკიდა სიმძიმე, რომელიც აუცილებლად ჩააყვინთინებს.

*– დღეს ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ბურჭულაძე ვიღაცის პროექტია, ნაციონალები ამბობენ, რომ ის ივანიშვილის პროექტია, „ოცნება“ ამტკიცებს, რომ მსოფლიო ბანის უკან ყოფილი ხელისუფლება დგას, თქვენ რას იტყვით?*

– ამას დრო გამოაჩენს. როგორც უკვე გითხარით, ამ ადამიანს ჰქონდა შანსი, გამხდარიყო სახალხო ლიდერი, მაგრამ სხვა გზა აირჩია ან აარჩევინეს. ვერ გეტყვით, ვინ დგას მის უკან, მაგრამ მისი ჩაძირვა დღეს ნაციონალებისთვისაც ხელსაყრელია და „ოცნებისთვისაც“.

*– საარჩევნო ბლოკში რომ არ შესულიყო და მარტოს მიეღო არჩევნებში მონაწილეობა, ბევრ ხმას წაართმევდა მოქმედ და ყოფილ ხელისუფლებას?*

– ის პარლამენტში სერიოზულად შევიდოდა. ახლა ბარიერის გადალახვის მინიმალური შანსები აქვს.

*– არჩევნების წინა პერიოდში უამრავი სოციოლოგიური გამოკითხვა ტარდება. ქვეყნდება პარტიების რეიტინგები, თქვენი აზრით, რა შანსები აქვთ პარტიებს?*

– ყველაფრის მიუხედავად, არჩევნებში პირველ ადგილს „ქართული ოცნება“ დაიკავებს. მეორე ადგილზე გავა ნაციონალური მოძრაობა. დანარჩენი პარტიები თანაბარ სასტარტო პირობებში არიან.

*– პარლამენტში მოხვედრის შანსები აქვთ?*

– 5%-ის სიახლოვეს რამდენიმე პარტია ალბათ მივა. მთავარი ამ არჩევნებზე ისაა, თუ რამდენად შეძლებენ პარტიები საკუთარი ამომრჩევლის მობილიზებას.

*– თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?*

– „ქართული ოცნება“ საარჩევნო უბნებამდე თავის ამომრჩეველს აუცილებლად მიიყვანს. ნაცმოძრაობას ძალი-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# „მინისტრი ხეჩიკაშვილი კერძო კომპანიის დირექტორიცაა“

## თანამდებობის პირების ქონებრივი დეკლარაციები უზუსტობებს შეიცავს

Transparency International Georgia
საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ინფორმაციით, თანამდებობის პირების ქონებრივი დეკლარაციები უზუსტობებს შეიცავს.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი დღემდე დირექტორის პოზიციას იკავებს შპს „კრესGMBH ავტო ჰაუსში“, რომელიც 2006 წლის 28 მარტსაა რეგისტრირებული.

კომპანიის მთავარ საქმიანობად ავტონაწილებითა და ავტომობილებით ვაჭრობაა მითითებული.

– გარდა იმისა, რომ მინისტრი კომპანიაში ამ დრომდე ინარჩუნებს დირექტორის პოსტს, შპს „კრეს GMBH ავტო ჰაუსი“ ასევე არ არის შეტანილი ტარიელ ხეჩიკაშვილის 2015 წლის ქონებრივ დეკლარაციაში, – ნათქვამია ორგანიზაციის განცხადებაში.

უზუსტობებია იუსტიციის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ბურჭულაძის, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ხათუნა თოთლაძის, აფხაზეთის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრ ქეთევან ბაკარაძის, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის რწმუნებული-გუბერნატორის მოადგილე კახაბერ რუსიას, ასევე პარლამენტის წევრების, პაატა კიკნაველიძისა და თამაზ ყაჭეიშვილის დეკლარაციებში.

კერძოდ, პაატა კიკნაველიძის ქონებრივ დეკლარაციაში მონაცემებს მისსა და მისი ძმის საკუთრებაში მყოფი ქონების შესახებ ვხვდებით. პარლამენტის წევრს რეესტრის მიხედვით პირადი ქონება სრულად აქვს დაფიქსირებული (რკონის ხის მეურნეობა – მეპაიე; შპს მადლი – პარტნიორი), მაგრამ უზუსტობაა მისი ძმის, ანდრო კიკნაველიძის ქონების დეკლარირებაში. პარლამენტარის ძმა 40%-იან წილს ფლობს შპს „ლაგში“, პარალელურად კი დირექტორის თანამდებობას იკავებს ამავე შპს-ში.

– პარლამენტარ თამაზ ყაჭეიშვილის 2015 წლის ქონებრივ დეკლარაციაში მითითებულია, რომ დეპუტატი შპს „სამეგობროს“ და შპს „ნუგოს“ მეწილეა, მისი შვილი ირინა ყაჭეიშვილი კი შპს „ხარისხსა“ და შპს „ყაზბეგი-ნატალიშია“ პარტნიორი. თუმცა, საჯარო რეესტრის მონაცემების თანახმად, თამაზ ყაჭეიშვილი 25% წილს ფლობს შპს „ხარისხში“ და 19% წილს შპს „ყაზბეგი-ნატალიში“, რაც ქონებრივ დეკლარაციაში აღნიშნული არ არის. ასევე არაფერია ნათქვამი ირინა ყაჭეიშვილის კავშირზე შპს „ამარტა მედია ჯგუფთან“, რომელშიც ის 100%-იან წილს ფლობს, – ნათქვამია განცხადებაში.

იუსტიციის მინისტრის მოადგილის ალექსანდრე ბურჭულაძის 2015 წლის ქონებრივ დეკლარაციაში არ არის მითითებული, რომ მისი მეუღლე მაია შიშნიაშვილი 16%-იან წილს ფლობს შპს „ფარმაკონში“.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ხათუნა თოთლაძის მეუღლე, ავთანდილ ცქვიტინიძე აქტიურ სამეწარმეო საქმიანობას ეწევა. ცქვიტინიძის სახელზე მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში, აღრიცხულ საწარმოთაგან, ხათუნა თოთლაძის ქონებრივ დეკლარაციაში მხოლოდ შპს ავთანდილ ცქვიტინიძე ფიქსირდება. თუმცა დეკლარირებული არ არის შპს ავთანდილი და შპს ჯ-მანია, რომელთა 100% წილის მფლობელიც აგრეთვე ავთანდილ ცქვიტინიძეა.

ქეთევან ბაკარაძის 2016 წლის ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, მინისტრის მეუღლე აკაკი ჩარგეიშვილი შპს „აკაკი ჩარგეიშვილის საადვოკატო დარბაზის“ პარტნიორი და შპს „ჩარგეიშვილის საადვოკატო დარბაზის“ დირექტორია. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრის მიხედვით კი ბაკარაძის მეუღლე დირექტორის სტატუსის გარდა შპს „ჩარგეიშვილის საადვოკატო დარბაზის“ 100%-იანი წილის მფლობელიცაა.

მისსავე საკუთრებაშია შპს „ოლლ პეი“ (100%-იანი წილი, დირექტორი), შპს „ჩარგეიშვილი და კომპანია“ (50%-იანი წილი, დირექტორი), შპს „ვაითმედ“ (15%-იანი წილი, დირექტორი), და შპს „ჯი ბი ეს“ (მეწილე), თუმცა აღნიშნული ინფორმაცია ქეთევან ბაკარაძეს ქონებრივ დეკლარაციაში მითითებული არ აქვს.

2016 წლის ქონებრივ დეკლარაციაში კახაბერ რუსიას მიერ მითითებული ინფორმაციის თანახმად, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის რწმუნებული-გუბერნატორის მოადგილის მეუღლე ლელა არზიანი შპს „ნიას“ დირექტორია, შვილი რომანი რუსია კი შპს „ეას“ დირექტორის პოსტს იკავებს.

თუმცა მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრის მიხედვით, რწმუნებულის-გუბერნატორის მოადგილეს სრულად არც თავისი და არც ოჯახის წევრების მფლობელობაში მყოფი ქონება არ აქვს დეკლარირებული. რეესტრის მონაცემებით ირკვევა, რომ ლელა არზიანი შპს „ნია“-ს არა მხოლოდ დირექტორი, არამედ 100%-იანი წილის მესაკუთრეცაა.

ის აგრეთვე ფლობს შპს „ავტოსადგურის“ 4%-იან წილს და პარალელურად იკავებს დირექტორის თანამდებობას შპს „რუმოში“. შპს „რუმოს“ 50%-იან წილს თავად კახაბერ რუსია ფლობს, თუმცა ამის შესახებ მის ქონებრივ დეკლარაციაში არაფერია ნათქვამი. კახაბერ რუსიას ასევე არ აქვს დეკლარირებული, რომ ის და მისი შვილი რომან რუსია 37% და 7%-იან წილებს ფლობენ შპს „მუნოზოჯშიც“. შპს „რუსი“ კი კახაბერ რუსიას 100%-იან მფლობელობაშია.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მოუწოდებს თანამდებობის პირებს, მეტი ყურადღება დაუთმონ ქონებრივი დეკლარაციების შევსებისას მონაცემების სიზუსტეს.

# ვანო მაჭავარიანი უშიშროების საბჭოს მდივნად ინიშნება?

ბოლო დღეებში მედიაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ უშიშროების საბჭოს მდივნად ვანო მაჭავარიანი ინიშნება.



თავად ვანო მაჭავარიანი არ აკონკრეტებს, მიიღო თუ არა უშიშროების საბჭოს მდივნის პოსტზე პრეზიდენტისგან შეთავაზება.

– ეკა მიშველაძეს ექნება ბრიფინგი და ყველა თემაზე ისაუბრებს,– განუცხადა ვანო მაჭავარიანმა ჟურნალისტებს.

პრეზიდენტის პრესსპიკერ ეკა მიშველაძის პრესკონფერენცია დღეს გაიმართება.

ამასობაში ვანო მაჭავარიანზე უმრავლესობის ლიდერმა გია ვოლსკიმ თავისებური კომენტარი გააკეთა.

– უშიშროების საბჭოს მდივანი უნდა იყოს მცოდნე, ექსპერტი საერთაშორისო ურთიერთობების და არა ზოგადად მოსაუბრე. უნდა იყოს იურიდიულ, სამართლებრივ საკითხებში გარკვეული და უნდა შეეძლოს კადრების დაკომპლექტება, – განაცხადა მან და დაამატა:

– ვანო მაჭავარიანს მე მთავარი დაპირისპირების საგნების პირველ ხუთეულში ვერ წავწევდი, თუ ეს ხუთეული საერთოდ არსებობს. ასე რომ, ცალკეული ადამიანებისგან ნუ შევქმნით ოდიოზურ ფიგურებს.

**ინტერპრესნიუსი**

# საქართველოს ვიზალიბერალიზაციაზე 13-14 ოქტომბერს იმსჯელებენ

საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის დაწესებაზე 13-14 ოქტომბერს, ლუქსემბურგში ევროკავშირის შინაგან საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე იმსჯელებს.

აღნიშნულ შეხვედრაზე დაგეგმილია ვიზალიბერალიზაციის დაწესების საკითხის განხილვა უკრაინისთვის, კოსოვოსა და თურქეთისთვისაც.

ოქტომბერში დაგეგმილ შეხვედრაზე კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება მოსალოდნელი არ არის, რადგან ევროკავშირი ამჟამად უვიზო მიმოსვლის ე.წ. „შეჩერების მექანიზმის“ შემოღებაზე მუშაობს.

**ინტერპრესნიუსი**

# გიორგი კვერენჩხილაძე საკონსტიტუციოს ახალი თავმჯდომარე გახდება?

## ლევან ალაფიშვილი: „გიორგი კვერენჩხილაძის თავმჯდომარედ არჩევა იქნება განახლების სიგნალი“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი **ლევან ალაფიშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პრეზიდენტ მარგველაშვილის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებად დასახელებულ კანდიდატებს აფასებს.

***— ბატონო ლევან, პრეზიდენტმა თავისი დისკრეციული უფლება გამოიყენა და საკონსტიტუციო სასამართლოს ირინა იმერლიშვილი და გიორგი კვერენჩხილაძე შესთავაზა. როგორ შეაფასებთ ამ კანდიდატებს?***

— ორივე კანდიდატი, რომელიც პრეზიდენტმა დაასახელა, ნამდვილად იმსახურებს უმაღლეს შეფასებას. ისინი არიან მაღალი დონის პროფესიონალები და ჩვენ გვჭირდება ასეთი მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალები იმ საქმეში, რასაც კონსტიტუციური წესრიგის დაცვა ჰქვია. მე მჯერა, რომ ეს ადამიანები ნამდვილად მაღალი სტანდარტით გაართმევენ თავს მოსამართლის პასუხისმგებლობას და ტვირთს.

***— ბოლო პერიოდში საკონსტიტუციო სასამართლოში განვითარებული მოვლენები სახარბიელო არ არის. შეძლებენ ეს ადამიანები რაიმე კორექტივის შეტანას?***

— მე იმედი მინდა ვიქონიო, რომ ეს ადამიანები თავიანთ დადებით წვლილს შეიტანენ საკონსტიტუციო სასამართლოს შელახული იმიჯის აღდგენაში, იმ კრიტიკულ გავლენებში, რომლებიც ხორციელდება შიგნიდან თუ გარედან.

***— საკონსტიტუციო სასამართლოში განვითარებული მოვლენები ვენეციის კომისიის წარმომადგენელმაც შეაფასა, როგორც ზეწოლა.***



— რასაკვირველია, ეს ანგრევს არა მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს იმიჯს, როგორც ინსტიტუციის, არამედ, ქვეყნის იმიჯს. ეს იყო პოლიტიკურად მოტივირებული თავდასხმები საკონსტიტუციო სასამართლოზე პოლიტიკოსების მიერ. საქმე გვაქვს პოლიტიკურ მიზანთან და ეს არაერთხელ ითქვა კონკრეტული პირების მიერ.

მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ არა მხოლოდ განცხადებებით მოახდინა ზეწოლა, არამედ პრაქტიკაშიც განახორციელა ეს და კანონიც კი მოირგო. სამწუხარო ის არის, რომ ყველა კონსტიტუციურ ინსტიტუტს თავს დაესხნენ მმართველი ძალის წარმომადგენლები. საკონსტიტუციო სასამართლო იყო მორიგი ობიექტი თავდასხმის, იმედი მაქვს, რომ ეს იქნება ბოლო, რადგან არჩევნებია და ვერ მოასწრებენ.

***— ხელისუფლების წარმომადგენლები, მაგალითად, კალაძე კონკრეტული ფაქტების დასახელებას ითხოვენ, როდესაც მსგავს თავდასხმებზე, ზეწოლაზე კეთდება მათი ოპონენტების მხრიდან განცხადებები.***

— ეს არის სწორედ პოლიტიკური ინტერპრეტაცია. კალაძემ რა იცის, რომელმა მოსამართლემ რა ჩვენება მისცა გამოძიებას.

***— მოსამართლეები პროკურატურიდან როდესაც გამოდიოდნენ, ჟურნალისტებთან ამბობდნენ, რომ მათზე არ ყოფილა ზეწოლის ფაქტი.***

— თითოეული მოსამართლე ამბობდა, რომ მათზე არა, მაგრამ კოლეგისგან სმენია. სხვა საკითხია, იმ კოლეგამ დაადასტურა თუ არა შემდეგ ეს ფაქტი პროკურატურასთან. ის, ვისზეც ხორციელდებოდა ზეწოლა, რამდენადაც მე მაქვს ინფორმაცია, პროკურატურაში სხვანაირად აჭიკჭიკდა ალბათ რაღაცის მოლოდინში.

***— თქვენ ამბობთ, რომ ზეწოლის ფაქტები იყო, მაგრამ პროკურატურასთან უარყვეს?***

— დიახ, პროკურატურამ გააკეთა განცხადება, მოსამართლეებმა ზეწოლის ფაქტები არ დაადასტურესო, მაგრამ ის თუ უარყვეს პროკურატურაში, თავიანთ კოლეგებთან რომ ისაუბრეს ზეწოლის ფაქტებზე.

***— ვისზე აკეთებთ აქცენტს?***

— საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ ტყუილად გააკეთა პირველი განცხადება ზეწოლის ფაქტზე?! ასევე ოჯახის წევრებზე, მათ ბიზნესზე? მოვიძიოთ, განა ბევრს აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების ოჯახის წევრებს ბიზნესი?

***— ხმები ვრცელდება, რომ გიორგი კვერენჩხილაძემ შეიძლება ჩაანაცვლოს მოქმედი თავმჯდომარე პაპუაშვილი, რომელსაც სექტემბრის ბოლოს მუშაობის ვადა გასდის. რამდენად აქვს შანსი კვერენჩხილაძეს, რომ ახალი კანონმდებლობით, მისმა კოლეგებმა სწორედ მას დაუჭირონ მხარი?***

— დიახ, ახალი კანონმდებლობით საკონსტიტუციო სასამართლოს ახალ თავმჯდომარეს თავად საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები ირჩევენ. მე გამიხარდება თუ გიორგი კვერენჩხილაძე გახდება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, მაგრამ ამ მოცემულობაში, რომელიც არსებობს, პოლიტიკა სჭარბობს ყველაფერს. ამიტომ ვიღაცებს, რომლებიც რჩებიან საკონსტიტუციო სასამართლოში მოსამართლეებად, ამბიციები აქვთ, რომ თავად გახდნენ ლიდერები.

ამდენად ვფიქრობ, რომ ეს რთულად განსახორციელებელი მისიაა. გიორგი კვერენჩხილაძის თავმჯდომარედ არჩევა ჩემთვის იქნება განახლების, კონსენსუსის მიღწევის, შიგნით არსებული თავდასხმების დასრულების სიგნალი. კვერენჩხილაძის არჩევა იქნება საკონსტიტუციო სასამართლოს ახალ ეტაპზე გადასვლის სიგნალი.

გიორგი კვერენჩხილაძე არის მაღალი დონის კონსტიტუციონალისტი, არა მხოლოდ მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალი, არამედ ადამიანი, რომელმაც კარიერა სახელმწიფოს და მის ინტერესებს მიუძღვნა. მისთვის ყოველთვის უმთავრესი პრიორიტეტი სახელმწიფო იყო და არა — პოლიტიკური პროცესები. ასეთი ადამიანი დადებითად წაადგება ისეთ ინსტიტუციას, როგორიც საკონსტიტუციო სასამართლოა.

## ზვიად ძიძიგური: „საქართველოში პრეზიდენტს უნდა ირჩევდეს პარლამენტი“



ვიცე-სპიკერი ზვიად ძიძიგური იზიარებს ბიძინა ივანიშვილის პოზიციას, რომ საქართველოში პრეზიდენტის არჩევა პირდაპირი წესით არ უნდა ხდებოდეს და მიიჩნევს, რომ კონსტიტუციაში ცვლილებები განსახორციელებელია.

ძიძიგური იმასაც ადასტურებს, რომ არსებობდა კოალიციაში შეთანხმება შესაბამისი საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელების შესახებ, თუმცა იმის გამო, რომ საპარლამენტო უმრავლესობას კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობა არ ჰქონდა, ეს ვერ მოხერხდა.

— პირდაპირი არჩევა საჭიროა ისეთი საპრეზიდენტო მმართველობის პირობებში, როდესაც პრეზიდენტის აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელია, — განაცხადა დეპუტატმა.

მისი აზრით, როდესაც პრეზიდენტი აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი არ არის და მას მაინც საყოველთაო არჩევნების გზით ირჩევ, ეს სწორი არ არის.

— მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში ასე არჩევა არ ხდება — ყველგან, სადაც პრეზიდენტი არ არის აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი, მისი არჩევა წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ ხდება, — აღნიშნა ზვიად ძიძიგურმა.

## ნიკა მელია: „ივანიშვილმა შეწყვიტოს დამცინავი საუბარი უსაფრთხოებაზე“




ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელ ნიკა მელიას განცხადებით, როდესაც ივანიშვილი ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას აფასებს, აუცილებლად უნდა გაიხსენოს შუაგულ თბილისში მომხდარი მკვლელობები.

მელია მიიჩნევს, რომ ივანიშვილის განცხადებები რამდენიმე დღის წინ ჩაცხრილულების ოჯახების წევრებისთვის შეურაცხმყოფელია.

— ის, რომ ივანიშვილი მისი მმართველობის პერიოდს ყველაზე უსაფრთხოს უწოდებს, არ მიკვირს, რადგან ის ცხოვრებას და მიმდინარე პროცესებს მრავალრიცხოვანი დაცვის წევრებით უზრუნველყოფილი სოლოლაკის ხეივნიდან უყურებს. მის ადგილას, უსაფრთხოებაზე საუბრისგან თავს შევიკავებდი, განსაკუთრებით მაშინ, როცა შუაგულ თბილისში რამდენიმე დღის წინ უმოწყალოდ ჩაცხრილეს ორი ახალგაზრდა, — განაცხადა ნიკა მელიამ.

მისი აზრით, აუცილებელია ივანიშვილმა შეწყვიტოს დამცინავი საუბარი უსაფრთხოებაზე, მაშინ, როდესაც პრაქტიკულად, ყოველდღიურ რეჟიმში, დღისით, მზისით საზარელი მკვლელობა ხდება.

**ინტერპრესნიუსი**

# „ბურჭულაძის ჩაძირვა ნაციონალებისთვისაც მომგებიანია და „ოცნებისთვისაც“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ან გამოცდილი ამომრჩეველი ჰყავს და ისინიც მოახერხებენ მობილიზებას. დანარჩენ პარტიებს ამომრჩევლის მობილიზების რესურსი არ გააჩნიათ.

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამომრჩეველთა დიდი რაოდენობა არჩევნებზე არ წავა. არჩევნებს ბოიკოტს დაახლოებით 45% გამოუცხადებს.

***— რა კატეგორიის ადამიანები არ წავლენ არჩევნებზე?***

— მე მათ შეგნებულ ამომრჩეველს ვუწოდებ. ეს ის ხალხია, რომელსაც ემოციის დონეზე არ სურს არჩევანის გაკეთება. ეს ხალხი ეროვნული ცნობიერების მატარებელია. მათთვის პოლიტიკური თამაშობანი მიუღებელია.

***— ნაციონალური მოძრაობა და „ქართული ოცნება“ ბევრს საუბრობენ მოსალოდნელ არეულობაზე. თქვენ როგორ გგონიათ, იქნება არეულობა?***

— ასეთი განცხადებების გაკეთება წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილია. ორივე პარტია თავს იზღვევს და თავის პოტენციურ ამომრჩეველს აფრთხილებს, რომ მივიდნენ არჩევნებზე.

ჩვენ განსაკუთრებულ არეულობას არ ველოდებით, უკმაყოფილება კი აუცილებლად იქნება. აუცილებლად იქნება „გაგვიყალბეს“ ყვირილი. პატარ-პატარა აქციები და სასამართლოში ჩივილებიც გველოდება. ყველაფერი მაინც ისე დარჩება, რა შედეგსაც ცესკო არჩევნების შემდეგ გამოაცხადებს. ამის შემდეგ დაიწყება ძალიან სერიოზული პროცესები.

***— რა პროცესებზე საუბრობთ?***

— პარლამენტს მიღმა დარჩენილები და პარლამენტში მოხვედრილი ოპოზიციის მცირე ნაწილი ძალიან გააქტიურდებიან. ისინი პოლიტიკურ პრესინგს მიმართავენ, ასე რომ, მომავალი 4 წელი „გადადექი, გადადექის“ ძახილი იქნება სულ.

***— ისე, კარგა ხანია, ეს მაგიური სიტყვა არ გაგვიგონია.***

— დაახლოებით 4 წელია, რაც ეს ფრაზა არ მოგვისმენია, მაგრამ მომდევნო 4 წლის მანძილზე მას ძალიან მძაფრად გავიგონებთ.

***— მათი აქტიურობა მხოლოდ „გადადექის“ ძახილით შემოიფარგლება?***

— ხელისუფლებას ფეხის გადადგმის საშუალებას არ მისცემენ. ყველა ფეხის ნაბიჯზე იქნება კრიტიკა და დაპირისპირება.

***— იმედია, ეს სამოქალაქო დაპირისპირებაში არ გადაიზრდება.***

— არაერთხელ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ 1988 წლიდან მოყოლებული დღემდე, არც ერთი კონფლიქტი საქართველოში არ ყოფილა დაგეგმილი. დღეს სამოქალაქო დაპირისპირებისთვის ძალიან ხელსაყრელი ნიადაგია. რამდენად და რისთვის გამოიყენებენ გარე ძალები ამ ვითარებას, ამის პროგნოზირება არ არის ძნელი, მაგრამ ამ ეტაპზე კონკრეტიკისგან თავს შევიკავებ. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ სამოქალაქო დაპირისპირების ხარისხი პირდაპირ დამოკიდებულია გლობალურ პროცესებზე, რომლებიც დღეს დასავლეთ — რუსეთის დაპირისპირებასთან არის გაიგივებული.

***— ჩვენი საპარლამენტო არჩევნებიდან ერთი თვის თავზე ამერიკაში ტარდება საპრეზიდენტო არჩევნები. ეს არჩევნები რამდენად იქონიებს ჩვენში მიმდინარე პროცესებზე გავლენას?***

— გავლენა როგორ არ ექნება. ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ გამარჯვება ჰილარი კლინტონს დარჩება, რომელმაც რუსეთთან თავისი პოზიცია მკვეთრად დააფიქსირა. ეჭვიც არ გვეპარება, რომ კლინტონის ადმინისტრაცია სანქციების რეჟიმს გააგრძელებს და მოსკოვთან ხისტ პოლიტიკას გაატარებს. ობამამ საკმაოდ რბილი პოზიცია დაიკავა. ის კრემლთან შემდეგი პრინციპით მოქმედებდა — ნაბიჯი წინ, 2 ნაბიჯი უკან. ბოლო დროს მისმა ადმინისტრაციამაც სერიოზული სანქციები დაუწესა რუსეთისთვის ძალიან მნიშვნელოვან კომპანიებს.

***— რას იტყვით დავით უსუფაშვილის ინიციატივაზე, რომელიც საქართველოში ამერიკული სამხედრო ბაზების განთავსებას ითხოვს?***

— ჩვენ პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებას სერიოზულად არ მოვეკიდეთ. ეს მხოლოდ წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილია. რესპუბლიკელები ყველანაირად ცდილობენ პროდასავლურად განწყობილი მოსახლეობის ხმების მიღებას. ეს განცხადება მათთვის გაკეთდა. ამის გარდა, ამ განცხადებით, მათ დასავლეთს კიდევ ერთხელ შეახსენეს თავი.

***— თავად ამერიკული ბაზების განთავსებაზე რას ფიქრობთ? დამოუკიდებელი ქვეყნის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სამხედრო ბაზის განთავსება რამდენად მისაღები ამბავია?***

— ამერიკა საქართველოში სამხედრო ბაზას ასე მარტივად არ განათავსებს. მეტსაც გეტყვით, ეს არასდროს მოხდება. ამის თქმის საფუძველს ამერიკასთან სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულება მაძლევს. იქ პირდაპირ წერია, რომ აშშ ვალდებულებას იღებს, საქართველოს ეროვნული არმიის მშენებლობაში დაეხმაროს. ეს არ გულისხმობს აქ ამერიკული ბაზის განთავსებას.

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# თიბისი ბანკ რესპუბლიკას 315 მილიონ ლარად ყიდულობს

თიბისი ბანკი ბანკი რესპუბლიკას აქციების 93,64%-ს 315 მილიონ ლარად (103 მილიონ ფუნტად) შეიძენს.



ამ გარიგებით თიბისი ბანკი ბაზარზე დეპოზიტებისა და სესხების მიხედვით ნომერ პირველი ბანკი ხდება.

– ბანკი რესპუბლიკის შეძენა სრულად შეესაბამება თიბისი ბანკის სტრატეგიას. ბანკი რესპუბლიკა არის მყარი ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც ლიდერი ბანკების ხუთეულში შედის და განსაკუთრებულ აქცენტს იპოთეკურ და სამომხმარებლო სესხებზე აკეთებს.

მისი ამონაგები კაპიტალზე 2013 წლიდან ყოველ წელს შეადგენდა 18%-ს, ხოლო 2015 წელს – 21%-ს, – ნათქვამია თიბისის განცხადებაში.

გარიგების თანხის 70% გადახდილი იქნება ნაღდი ანგარიშსწორებით, ხოლო 30% – თიბისი ბანკის ახლად გამოშვებული აქციებით. შედეგად, ჯგუფი სოსიეტე ჟენერალი ხდება თიბისი ბანკის აქციების 5.4%-ის მფლობელი.

მხარეები ასევე შეთანხმდნენ საქართველოში სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავებაზე.

ბანკი რესპუბლიკის აქციების დარჩენილი 6.27% ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს ეკუთვნის. თიბისის უკვე დაწყებული აქვს მოლაპარაკებები ამ აქციების გამოსყიდვაზე.

თიბისი ბანკის პოზიციები ყველა საოპერაციო სეგმენტში ძლიერდება, განსაკუთრებით კი საცალო საბანკო მომსახურების მიმართულებით. კლიენტების რაოდენობა მიუახლოვდება 2 მილიონს. კიდევ უფრო გაფართოვდება თიბისი ბანკის მომსახურების ქსელი.

– მთელი საქართველოს მასშტაბით, ფილიალების რაოდენობა გაიზრდება 169-მდე, ხოლო ბანკომატების – 517-მდე; თიბისი ბანკი ძლიერდება მაღალკვალიფიციური კადრებით, რომელთაც საბანკო საქმიანობაში დიდი გამოცდილება და მომხმარებელთან ურთიერთობის საუკეთესო პრაქტიკა აქვთ, – განმარტავენ ბანკში;



ტრანზაქციის დასრულება დაგეგმილია 2016 წლის ბოლომდე.

* * *

– თიბისი ბანკის მიერ ბანკ რესპუბლიკის სავარაუდო შეძენა საქართველოს საბანკო სისტემის განვითარებაში სერიოზული უკან გადადგმული ნაბიჯია.

ამის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის ყოფილმა პრეზიდენტმა, ნაციონალური მოძრაობის სიის მე-4 ნომერმა რომან გოცირიძემ განაცხადა.

რომან გოცირიძემ აღნიშნულის რამდენიმე მიზეზი დაასახელა.

– ქვეყნიდან გადის მსოფლიოში ცნობილი ბანკი სოსიეტე ჟენერალი, ეს არა მარტო აღარიბებს ქართულ საფინანსო სისტემას, ასუსტებს კონკურენციას, არამედ ცუდ სიგნალს აძლევს უცხოელ ინვესტორებს, – განაცხადა ბ-მა გოცირიძემ.

**ინტერპრესნიუსი**

# „ნატოს წევრობა რეფორმებსა და მოთმინებასთანაა დაკავშირებული“

ატლანტიკური საბჭოს ბრენტ სკოუკროფტის საერთაშორისო უსაფრთხოების ცენტრის წამყვანმა ანალიტიკოსმა ჯორჯ ბენიტესმა ვაშინგტონში „ამერიკის ხმასთან“ ინტერვიუში ევროატლანტიკური საბჭოს წევრების საქართველოში ვიზიტისა და საქართველოს სამხრეთში ჩატარებულ საბრძოლო წვრთნების შესახებ ისაუბრა.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ბენიტესის ინტერვიუს ქართულენოვან რეზიუმეს მცირე შემოკლებით.

– ნატო საქართველოს სერიოზულად აღიქვამს და ის ერთგულია საქართველოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებების. ნატოს მაღალი რანგის ვიზიტის დროს ნატოს ვარშავის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებების განხილვა მოხდა. ამით დამტკიცდა, რომ ნატომ გააძლიერა ყურადღება ალიანსის აღმოსავლეთში და შავი ზღვის რეგიონში მიმდინარე მოვლენებზე და შეფასდა სამომავლო რეფორმებისა და ამოცანების განხორციელება საქართველოში, – აცხადებს ჯორჯ ბენიტესი.

ანალიტიკოსის თქმით, ჩრდილოატლანტიკური საბჭო იშვიათად იკრიბება ბრიუსელს გარეთ, თუმცა საქართველოში ის მეოთხედ ჩავიდა და ძლიერი სიგნალი აჩვენა საქართველოს მიმართ.

ნატო-საქართველოს შორის არსებული არსებითი პაკეტი, ასევე ერთობლივი სასწავლო ცენტრი, ძალიან ღირებული ნაბიჯებია ორმხრივ ურთიერთობებში. ნატო – საქართველოს ურთიერთობა ღრმავდება და ძლიერდება როგორც მრავალმხრივი, ისე ორმხრივი ურთიერთობების კუთხით.

ახლა კავკასიასა და კერძოდ, საქართველოში ნატოს ბევრად მეტ აქტივობას აქვს ადგილი და მთლიანობაში, ამ რეგიონს უფრო მეტი ყურადღება ექცევა ნატოში. საბჭოს ვიზიტი საქართველოში ამის კიდევ ერთი დასტურია.



– ნატოს სამოქმედო გეგმის არქონის პირობებში იქმნება თუ არა იმის განცდა, რომ ეს პროცესი უსასრულოდ გაიწელა და წევრობაც გვიანდება?

ამ კითხვას ჯორჯ ბენიტესი ასე პასუხობს:

– წევრობა შიდა რეფორმებთან, მთავრობის ერთიან პოზიციასთან და ალიანსის ყველა წევრის შემთხვევაში დიდ დროსთან და მოთმინებასთან არის დაკავშირებული. წევრობისკენ სვლა გრძელი პროცესია, თუმცა ტემპს ორივე მხარე აყალიბებს. ერთი მხრივ, ეს არის თბილისი და მეორე მხრივ, ნატოს წევრი სახელმწიფოები. ის, თუ რამდენად მეტია სოლიდარობა, ერთიანობა საქართველოს მთავრობის შიგნით პოლიტიკური თუ სამხედრო რეფორმების გატარების მიმართულებით, ძალიან ბევრს განსაზღვრავს, რაც უფრო მალე და აქტიურად მოხდება ეს, გაწევრიანების ტემპიც უფრო სწრაფი იქნება.

ექსპერტი ფიქრობს, რომ საქართველოში ნატოს წევრი ქვეყნების მონაწილეობით გამართული სამხედრო წვრთნები რეგიონში უნიკალური თანამშრომლობის პრეცედენტია და მათი ეფექტურად განხორციელებით, ალიანსმა რუსეთს რეგიონში მისი გაზრდილი მზადყოფნა და აქტიური მიდგომა აჩვენა.

– ამერიკელი საზღვაო ქვეითები კავკასიაში პირველად მონაწილეობენ ერთობლივ სამხედრო სიმულაციებში. ეს პირდაპირი ნიშანია რუსეთისთვის, რომ რეგიონში ნატო ძლიერდება. ეს ასევე პასუხია რუსეთის სამხედროების მზარდ კონცენტრაციაზე რეგიონში, რაც ჩვენს შეშფოთებას იწვევს, – აცხადებს ექსპერტი.

მან ხაზი გაუსვა, რომ ევროპაში ამერიკის არმიის სარდალმა გენერალმა ბენ ჰოჯესმა ცოტა ხნის წინ ამერიკის ხმას უთხრა, რომ მრავალეროვნული სამხედრო წვრთნები შეერთებული შტატების მიერ საქართველოსადმი მხარდაჭერის გამოხატულებაა და რომ საქართველო სინამდვილეში ევროატლანტიკური თანამეგობრობის მნიშვნელოვანი ნაწილია.

**ნიუსპრესი**

# რომის პაპი მიხეილ მესხის სტადიონზე მესას აღავლენს

ვატიკანის პრესსამსახურმა პაპი ფრანცისკეს საქართველოსა და აზერბაიჯანში მოგზაურობის პროგრამა გამოაცხადა.

ვიზიტი 30 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე შედგება. ამის შესახებ დიაკვანმა ედუარდ გოგილაშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა.

– 30 სექტემბერს, ნაშუადღევს, პონტიფექტსი ჩაბრძანდება თბილისის საერთაშორისო აეროპორტში. დაახლოებით 15:00 საათზე, მისალმების ცერემონიის შემდეგ, 15:30 საათზე გათვალისწინებულია სტუმრობა რესპუბლიკის პრეზიდენტთან. 16:00 საათზე პრეზიდენტის სასახლის ეზოში იქნება მისალმება ხელისუფლებასთან, საზოგადოების წარმომადგენლებთან და დიპლომატიურ კორპუსთან, წმიდა მამა წარმოთქვამს სიტყვას, – განაცხადა დიაკვანმა.



16:40 საათზე საპატრიარქო რეზიდენციაში შედგება შეხვედრა მის უწმიდესობა და უნეტარესობა ილია მეორესთან, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან. ამ შეხვედრაზე სიტყვას წარმოთქვამს პატრიარქი, შემდეგ კი – რომის პაპი.

ამ შეხვედრის შემდეგ, 18:00 საათზე პაპი დაათვალიერებს ასირიულ-ქალდევური წესის საკრებულოს წმ. სიმონ მღებავის სახელობის კათოლიკურ ტაძარში, სადაც ილოცებს.

მეორე დღეს, 1 ოქტომბერს, შაბათს, დილის 10:00 საათზე, რომის პაპი აღავლენს წმ. წირვას მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე, რომლის დროსაც იქადაგებს. შემდეგ კი, 15:45 საათზე პაპი შეხვდება მღვდლებსა და ბერ-მონაზვნებს მარიამის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძარში, სადაც სიტყვით მიმართავს მათ.

განსაკუთრებული შეხვედრაა დაგეგმილი 17:00 საათზე კამილიელთა ცენტრის ტერიტორიაზე ეკლესიის საქველმოქმედო საქმიანობის ბენეფიციარებთან და მუშაკებთან, რომის პაპი მიესალმება მათ, რის შემდეგაც იგი 18:15 საათზე დაათვალიერებს მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარს, სადაც გაჟღერდება ჯერ პატრიარქის, ხოლო შემდეგ რომის პაპის სალამი.

კვირას, 2 ოქტომბერს, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში 07:55 საათზე დამშვიდობების ცერემონიის შემდეგ, 08:10 თვითმფრინავი აიღებს გეზს ბაქოსკენ.

როგორც ედუარდ გოგილაშვილმა განაცხადა, მიხეილ მესხის სტადიონზე წირვაზე დასწრების მსურველებს კათოლიკურ ეკლესიებში შეეძლებათ მოსაწვევების აღება.

როგორც კათოლიკე ეკლესიის ეპისკოპოსმა, ჯუზეპე პაზოტომ განაცხადა, რომის პაპის ვიზიტის ლოზუნგი იქნება „მშვიდობა თქვენთან“.

– ლოზუნგი იქნება „მშვიდობა თქვენთან“, მე ვფიქრობ, რომ მისი ყურადღება იქნება მშვიდობასა და ურთიერთობაზე, – განაცხადა ჯუზეპე პაზოტომ.

**ინტერპრესნიუსი**

# „სომხები აფხაზეთის რკინიგზის გახსნაზე ტყუილად ოცნებობენ“

აზერბაიჯანულ გამოცემა „ეხო“-ს მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში აზერბაიჯანელი ექსპერტები საუბრობენ როგორც ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მნიშვნელობაზე, ასევე საქართველოს რკინიგზის აფხაზურ მონაკვეთზე მოძრაობის აღდგენის შესაძლებლობაზე, მხარეთა ინტერესებზე და ა.შ.

სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ამონარიდს პუბლიკაციიდან:

– საეჭვოა, რომ უახლოესი ათი წლის განმავლობაში საქართველოს რკინიგზის აფხაზურ მონაკვეთზე მოძრაობა აღდგეს. ეს რომ მოხდეს, აუცილებელია ქართულ-აფხაზური და ქართულ-რუსული ურთიერთობების მოგვარება, საქართველოს ხელისუფლებაში ისეთი ძალების მოსვლა, რომელიც ამაზე დათანხმდება. დაფინანსება კი შეიძლება ყოველთვის გადაწყდეს. პირველ რიგში, პრობლემის პოლიტიკურ დონეზე მოგვარებაა აუცილებელი. ამისთვის კი მინიმუმ ათი წელია საჭირო, – ამბობს მდგრადი განვითარების კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი ნარიმან ალაევი.

როგორც ექსპერტი თვლის, საქართველოს რკინიგზის აფხაზური მონაკვეთის აღსადგენად სერიოზული ინვესტიციების ჩადება იქნება საჭირო.

– ამ რკინიგზის დიდი ნაწილი თითქმის ოცი წელია არ მუშაობს, დაზიანებული და თითქმის განადგურებულია ინფრასტრუქტურა, სიგნალიზაცია. შესაცვლელია შპალები. საჭიროა ათობით მილიონი დოლარი. რკინიგზა მომგებიანი სატრანსპორტო არტერიაა, მაგრამ დიდ ხარჯებსაც მოითხოვს. საეჭვოა, რომ რუსეთი იყოს მისი აღდგენით დაინტერესებული.

ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც რკინიგზის აფხაზურ მონაკვეთზე მოძრაობის აღდგენა აინტერესებს, სომხეთია, თუმცა ეკონომიკური ვითარება არ იძლევა იმის საშუალებას, რომ რკინიგზა სომხეთისთვის შემოსავლების მიღების პოტენციური წყარო გახდეს, – ამბობს ნარიმან ალაევი.

პოლიტოლოგი პარვინ დარაბადი აღნიშნავს, რომ რკინიგზის აფხაზეთის უბანზე მოძრაობის აღდგენა საქართველოს ხელისუფლების საქმეა. ეს მომგებიანია სომხეთისთვისაც, რომელიც ბლოკადიდან გამოსვლის გზებს ეძებს.

– მაგრამ ყველა სომეხი ექსპერტი, რომელიც აფხაზეთის რკინიგზის გახსნაზე ოცნებობს, ღრუბლებში დაფრინავს. მთავარი და რეალური პროექტია ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა, რომელიც მიმდინარე წლის ბოლოს უნდა ამუშავდეს. თუ სომხები რკინიგზის აფხაზური მონაკვეთის აღდგენას შეძლებენ, დაე, აღადგინონ. ჩვენ ამით არც შეგვცივდება და არც დაგვცხება. შესაძლოა, რუსეთსა და საქართველოში ზოგიერთები უფრო მეტ მნიშვნელობას ეკონომიკურ ინტერესებს ანიჭებენ, ვიდრე პოლიტიკურს, – ამბობს პარვინ დარაბადი.

**ნიუსპრესი**

# თუშეთში ავტომობილი ხევში გადავარდა



გარდაცვლილია 21 წლის ახალგაზრდა, 3 ადამიანი კი მძიმედ დაშავდა

თუშეთში ავტომობილი ხევში გადავარდა. გარდაცვლილია 21 წლის თემურ გოგოთიძე. დაშავებულები, რომელთაც მრავლობითი დაზიანებები აღენიშნებათ, ვერტმფრენით თბილისში გადაიყვანეს.

როგორც ინტერპრესნიუსს თუშეთში გამგებლის წარმომადგენელმა ლადო კახოიძემ განუცხადა, ამ დროისთვის როგორც ფშაველი-აბანო-ომალოს, ისე თუშეთში არსებული სხვა შიდა გზები ნორმალურ მდგომარეობაშია და შემთხვევა გზაზე არსებულ მდგომარეობას არ უკავშირდება.

მისივე თქმით, მსგავსი უბედური შემთხვევების მიზეზი ზოგჯერ არაფხიზელ მდგომარეობაში ავტომანქანის მართვა ხდება.

შემთხვევა მაშინ მოხდა, როდესაც ახალგაზრდები სოფელ დართლოდან ჭეშოსკენ მიემგზავრებოდნენ.

# განცხადებები


**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროებათანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

● ექიმი პროფესიონალი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას; სასქესო ორგანოების, პროსტატის ყველა ფორმის დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას – მამაკაცებში. მკურნალობაში ვიყენებთ აპარატსა და სქესობრივი კონტაქტის დასამყარებელ „ერექტორებს“. კონსულტაცია უფასოა. ტელ: 2 99 95 33; 593 60 60 44.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებულიაზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.


## ინგლისი: თავდასხმა სიკხების ტაძარზე




ქალაქ ლემინგტონ-სლასში (ცენტრალური ინგლისი) 55-კაციანი დანებით შეიარაღებული ჯგუფი აიყვანეს. ისინი სიკხების ტაძარზე თავდასხმას აპირებდნენ. თავიანთი მოქმედება მათ იმით ახსნეს, რომ ტაძარში ერთსქესიანთა საქორწინო ცერემონია იყო დანიშნული.

– ჩვენ სიკხები ვართ და ჩვენს ტაძარში ასეთი ქორწინება ჩვენი რელიგიის შეურაცხყოფაა, – განაცხადა ერთ-ერთმა დაკავებულმა.

## დონბასში რუსი სამხედრო უკრაინელებს ტყვედ ჩაბარდა




დონბასში გორლოვკასთან უკრაინელებს ტყვედ რუსი სამხედრო დენის სიდოროვი ჩაბარდა.

დაკითხვაზე მან განაცხადა, რომ მოსკოველია.

– დონბასის ტერიტორიაზე უამრავი რუსი სამხედრო იმყოფება. სეპარატისტების ყველა ქვეგანაყოფს რუსი კადრის ოფიცრები მეთაურობენ, – თქვა სიდოროვმა.


**მკურნალობა მამაკაცებისთვის!**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

**კონსულტაცია უფასოა!**

☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).

მისამართი: ალმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.


## ჰილარი კლინტონს პნევმონიის დიაგნოზი დაუსვეს

### ტრამპი: „მას სწრაფად გამოჯანმრთელებას ვუსურვებ“



აშშ-ში 11 სექტემბრის ტერაქტიდან 15 წლისთავი აღნიშნეს.

ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე დაღუპულთა სულების მოსახსენებელი პანაშვიდები ჩატარდა. თეთრ სახლში დაღუპულთა ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს. პენტაგონში სამგლოვიარო ცერემონიალი ჩატარდა.

11 სექტემბრის ხსოვნის ცერემონია ნიუ-იორკშიც გაიმართა, ის სწორედ იმ „ტყუპების შენობასთან“ ჩაატარეს, რომელიც ტერორისტებმაააფეთქეს. მას პრეზიდენტობის პრეტენდენტი ჰილარი კლინტონიც დაესწრო.

ცერემონიალზე მისის კლინტონი ცუდად გახდა. დაცვამ ჰილარი თავის ქალიშვილის ჩელსის ბინაში მიიყვანა. აქ მისის კლინტონმა გარკვეული ხანი დაჰყო. ჩელსის სახლიდან გამოვიდა თუ არა, გარს მომხრეთა მთელი ჯგუფი შემოეხვია.

– ნუ გეშინიათ, კარგად ვარ! – სიცილით განუცხადა მათ ჰილარი კლინტონმა.

ნიკ მერილმა, რომელიც ჰილარი კლინტონის შტაბის პრეს-სამსახურს ხელმძღვანელობს, ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისის კლინტონი, როგორც ჩანს, მზეზე დასაშვებზე მეტხანს იმყოფებოდა და ამან მის ჯანმრთელობაზე იმოქმედა.

მიუხედავად ამისა, მისის კლინტონის ჯანმრთელობის მდგომარეობა სერიოზულია. მან კალიფორნიაში დაგეგმილ ვიზიტზე უარი განაცხადა. ჰილარის პირადმა ექიმმა ლის ბადრაკმა კი განაცხადა, რომ მისის კლინტონს პნევმონიის დიაგნოზი დაუსვეს.

– მე მას ანტიბიოტიკები გამოვუწერე, – თქვა ბადრაკმა.

ჰილარი კლინტონის კონკურენტმა დონალდ ტრამპმა თავის მხრივ განაცხადა, რომ მისის კლინტონის ავადმყოფობაზე არავითარ ნეგატიურ კომენტარს არ გააკეთებს.

– ჩემს კონკურენტს გულწრფელად ვუსურვებ, რომ მალე გამოჯანმრთელდეს, – განაცხადა ტრამპმა.

## ერდოღანი: „ტერორისტებს გავანადგურებთ“



თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ ერდოღანმა განაცხადა, რომ სამხედრო ოპერაციები სირიის ტერიტორიაზე გაგრძელდება.

– სირიაში მყოფი ისლამისტი-ტერორისტები, უწინარეს ყოვლისა, ისლამური სახელმწიფო, თურქეთს საფრთხეს უქმნიან. თუკი ამ ბანდიტებს არ გავანადგურებთ, ხვალ ისინი ჩვენ გაგვანადგურებენ! – განაცხადა ერდოღანმა.

თურქეთს პრეზიდენტმა მაღალი შეფასება მისცა საკუთარი შეიარაღებული ძალების მოქმედებას. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ განსაკუთრებით ეფექტიანი გამოდგა ავიაციის მოქმედება.

– ჩვენმა მფრინავებმა ისლამისტების პოზიციებზე რამდენიმე წარმატებული დარტყმა განახორციელეს. მტერმა უდიდესი ზარალი განიცადა, – აღნიშნა ერდოღანმა.

## ნადეჟდა სავჩენკო ავარიაში მოყვა

უკრაინის უმაღლესი რადის დეპუტატი ნადეჟდა სავჩენკო ავტოავარიაში მოჰყვა.

ეს კიევში მოხდა. ავტომანქანას, რომელსაც



სავჩენკოს მეგობარი მართავდა, სხვა ავტომობილი დაეჯახა. მის საჭესთან მჯდომი მძღოლი მთვრალი იყო.

– მადლობა ღმერთს, არავინ დაშავებულა! – წერს თავის ფეისბუქში სავჩენკოს უმცროსი და ვერა.

## ვადამდელი არჩევნები ხორვატიაში




ხორვატიაში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა.

ეგზიტპოლების მონაცემებით, სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ახალ პარლამენტში 58 ადგილი ექნება. მის უმთავრეს კონკურენტ ხორვატიის დემოკრატიულ თანამეგობრობას კი – 57.

როგორც ჩანს, ახალ პარლამენტში უმრავლესობა არც ერთ პარტიას არ ექნება.


**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**


## ბელარუსის პარლამენტში ოპოზიციონერი მოხვდა




ბელარუსში პარლამენტის ქვედა პალატის არჩევნები შედგა. პირველად 12 წლის განმავლობაში პარლამენტში ოპოზიციის წარმომადგენელი აირჩიეს. ეს ანა კონონაცკაიაა.

– ლუკაშენკოს დასავლეთთან ურთიერთობების დალაგება სურს. ასეთ დათმობაზეც ამიტომ წავიდა, – თვლიან ექსპერტები.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*



# როგორ ვუმკურნალოთ ღრძილებს?

ღრძილებისათვის, ბუნებრივი საშუალებებიდან, შემდეგი ნაყენები და ნახარშებია საუკეთესო:

**1. სალბის ნაყენი** – 1 ჩაის კოვზი 1 ჭიქა წყალზე;

**2. გვირილის ყვავილის ნახარში** – 1 სუფრის კოვზი 1 ჭიქა წყალზე;

**3. მარწყვბალახას ნაყენი** – 20 გ 1 ჭიქა წყალზე;

**4. ბეგქონდარას ნახარში** – 15 გ 1 ჭიქა წყალზე;

**5. ცაცხვის ყვავილის ნახარში** – 2 სუფრის კოვზი 1 ჭიქა წყალზე;

**6. კრაზანას ნახარში** – 2 სუფრის კოვზი 1 ჭიქა წყალზე;



**7. აბზინდის ნაყენი** – 2 სუფრის კოვზი 1 ჭიქა წყალზე;

**8. გულყვითელას ყვავილედის ნახარში** – 10 გ 1 ჭიქა წყალზე;

**9. ოროვანდის ფესვის ნაყენი** – 2 სუფრის კოვზი 1 ჭიქა წყალზე;

**10. ჟოლოს ფოთლების ნახარში** – 2 სუფრის კოვზი 1 ჭიქა წყალზე;

**11. მაყვლის ფოთლების ნახარში** – 2 ჩაის კოვზი 1 ჭიქა წყალზე;

**12. შავი მოცხარის ფოთლების ნაყენი** – 5 გ 1 ჭიქა წყალზე;

**13. შოთხვის ყვავილის ნაყენი** – 1 სუფრის კოვზი 1 ჭიქა წყალზე.

**14. მოცვი, ძახველი, პირშუშხა, ხახვი, ნიორი** – ანადუღარ წყალში გახსნილი.

ნაყენი ასე მზადდება: მშრალი დაქუცმაცებული ნედლეული ჩაყარეთ მომინანქრებულ ქვაბში, დაასხით ოთახის ტემპერატურის ანადუღარი წყალი და 10-15 წუთით ორთქლის აბაზანაში ადუღეთ, შემდეგ ოთახის ტემპერატურაზე გააცივეთ (ამისთვის 30-45 წუთია საჭირო), 2-3 ფენა დოლბანდში გაწურეთ და ანადუღარი წყლით თავდაპირველ მოცულობამდე შეავსეთ.

ნახარშის მომზადების წესი კი ასეთი გახლავთ: მშრალი დაქუცმაცებული ნედლეული ჩაყარეთ მომინანქრებულ ქვაბში, დაასხით ოთახის ტემპერატურის ანადუღარი წყალი, თავდახურული 30-45 წუთი ადუღეთ ორთქლის აბაზანაში, შემდეგ ოთახის ტემპერატურაზევე გააგრილეთ (10-15 წუთით), 2-3 ფენა დოლბანდში გაწურეთ და ანადუღარი წყლით თავდაპირველ მოცულობამდე შეავსეთ.

# ამოსახველებელი საშუალებები

– 1-2 ჩ/კ ანისულის ნაყოფს დაასხით 200 მლ მდუღარე და მიიღეთ თითო ჩაის ჭიქა დღეში 3-4-ჯერ, ჭამამდე 30 წუთით ადრე.

– 10 გ (2 ს/კ) ევკალიპტის ფოთოლს დაასხით 200 მლ მდუღარე. მიიღეთ თბილი, თითო ჩაის ჭიქა დღეში 3-ჯერ, ჭამის შემდეგ.




– სპირტზე ხარისჩლიქას ფესვის ნაყენის მოსამზადებლად 20 გ ნედლეულს დაუმატეთ 200 მლ სპირტი. მიიღეთ 15-25 წვეთი დღეში 3-4-ჯერ.

ხარისჩლიქას შხამიანი მცენარეა, ამიტომ გამოიჩინეთ სიფრთხილე და მკაცრად დაიცავით დაწესებული დოზები როგორც პრეპარატის მომზადებისას, ისე მისი მიღებისას!

ხარისჩლიქას მიღება აკრძალულია სტენოკარდიისა და ორსულობის დროს!

– 20 გ (1 ს/კ) ფურისულას ფესვს დაასხით 200 მლ ადუღებული წყალი და მიიღეთ 1-2 ჩაის კოვზი დღეში 3-4-ჯერ, ჭამამდე.

– 2 ს/კ ძირტკბილას ფესვს დაასხით 400 მლ მდუღარე, 2 საათით დააყენეთ, გაწურეთ და მიიღეთ თითო ჩაის ჭიქა დღეში 4-ჯერ ჭამამდე.

– 20 გ სალბის ბალახს დაასხით 200 მლ წყალი, ადუღეთ და მიიღეთ თითო სადილის კოვზი დღეში 3-ჯერ.

– სალბის პრეპარატების მიღება აკრძალულია ნეფრიტის (თირკმლის ანთება) და ძლიერი ხველის დროს!

# მკურნალი მცენარე



**დიდგულა** – მსხვილი ბუჩქნარია. ყვავილები წვრილია, სურნელოვანი, მოყვითალო-მოთეთრო, შეკრებილია მრავალყვავილედოვან ფარებად.

დიდგულას ქართლ-კახეთში დუდგულას ეძახიან, ზემო იმერეთში – ხეკროს, ქვემო იმერეთში – ანწლს, რაჭაში – ხრეკოლას, გურიაში – ხელთოფას. ვარაუდობენ, რომ ამ მცენარის ლათინური სახელწოდება წარმოდგა ირანული მუსიკალური საკრავიდან – სამბუკი, რომელსაც დიდგულას ღეროდან ამზადებენ.

დიდგულა გვხვდება ფოთლოვანი ტყეების ქვეტყეებში, ბუჩქნარის ბარდებში, ხშირად ნახავთ ბაღებსა და პარკებში.

ნედლეულად ძირითადად იყენებენ ყვავილებს. აგროვებენ მთელ ყვავილედს მათი სრული გაშლის შემდეგ. აშრობენ ჩრდილში, შემდეგ კი, ხეხავენ ცხრილზე ყვავილის ყუნწის მოსაცილებლად.

ნედლეულის შეგროვებისას შესაძლებელია შეყვეს მყრალი დიდგულა, რომლის მტვრიანები წითელი ფერისაა, აგრეთვე წითელი დიდგულა. წითელი დიდგულას ყვავილები უფრო პატარა ზომისაა, მომწვანო; ბუსუსიანი ყვავილის ყუნწით.

დიდგულას ქიმიური შემადგენლობა არ არის კარგად შესწავლილი. ცნობილია, რომ ყვავილი შეიცავს ოფლმდენ გლიკოზიდს, ფლავონურ გლიკოზიდ რუტინს, ეთერზეთის კვალს. გლიკოზიდი სამბუცინიგრინი აღმოჩენილია მხოლოდ ახალ ყვავილში, გაშრობის შემდეგ ის ორთქლდება.

დიდგულას პრეპარატებს იყენებენ როგორც ოფლმდენ საშუალებას გაცივების, ქრონიკული ბრონქიტის, ბრონტოექტაზების დროს. ასევე იყენებენ გრიპისა და ანგინის საწინააღმდეგოდაც. მისი პრეპარატები გამოიყენება აგრეთვე ღვიძლის ზოგიერთი დაავადების, ხოლო როგორც შარდმდენი საშუალება – თირკმლის დაავადების დროს, თუ თან ახლავს შეშუპება.

ყვავილის ნახარშს ივლებენ პირის ღრუსა და ცხვირ-ხახაში ანთებითი პროცესების და რინიტისა და ანგინის დროს. გარდა ამისა მას იყენებენ საფენების სახით დამწვრობის, ჭრილობებისა და ძირმაგარების დროს, მიოზიტების, ნევრალგიისა და სახსრების ტკივილებისას. ბუასილის დროს რეკომენდებულია ყვავილის ნაყენის ან ნახარშის აბაზანის მიღება.

დიდგულას ყვავილის ნაყენის მისაღებად აიღეთ 5 გრამი (1 სუფრის კოვზი) ნედლეული, მოათავსეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით 200 მლ (1 ჩაის ჭიქა) მდუღარე წყალი, დაახურეთ თავსახური და გააცხელეთ წყლის აბაზანაში 15 წთ-ის განმავლობაში. გააცივეთ 45 წთ, გაწურეთ და დაასხით ანადუღარი წყალი საწყისი მოცულობის (200 მლ) მიღებამდე. ნაყენი შეინახეთ გრილ ადგილას არაუმეტეს 2 დღე-ღამისა. მიიღეთ თბილი სახით 1/2 – 1/3 ჭიქა 2-3-ჯერ დღეში.

დიდგულას ნაყოფს ხალხურ მედიცინაში იყენებენ როგორც სუსტ საფაღარათო საშუალებას, ხოლო ქერქის ნახარშს – როგორც ოფლმდენ და შარდმდენ საშუალებას.

დიდგულას ნაყოფისაგან ტკბილი ნაყენის მისაღებად აიღეთ დიდგულას 200 გ სიროფი (ვაჟინი) 1 ლ არაყი და 1 ჩაის ჭიქა წყალი. სიროფი გახსენით წყალში, დაუმატეთ არაყი და დადგით 3-4 დღე.

დღეგრძელთა სასმელის მისაღებად 1 სუფრის კოვზ გამშრალ ნაყოფს დაასხით 0,5 ლ წყალი, მოხარშეთ, გაწურეთ, დაუმატეთ 2 სუფრის კოვზი თაფლი და მიიტანეთ სუფრასთან ცხელი სახით.

# ჟოლო დეპრესიისგან გიხსნით



ჟოლოს არა მარტო გემოსა და არომატისთვის აფასებენ, არამედ არაჩვეულებრივი სამკურნალო თვისებების გამოც. საინტერესოა, რა არის მასში ასეთი უჩვეულო?

1. შეიცავს სალიცილის მჟავას, რომელიც ანთების საწინააღმდეგო და სიცხის დამწევი ბევრი პრეპარატის შემადგენლობაში შედის.

2. გვინარჩუნებს ახალგაზრდობას მასში შემავალი A, PP და B2 ვიტამინების წყალობით, რომლებიც კანის ტონუსზე, სიმკვრივეზე, სიგლუვესა და ფერზე აგებენ პასუხს.

3. დიდი რაოდენობით სპილენძს შეიცავს. სპილენძი კი ანტიდეპრესანტების შემადგენლობაში შედის. ამდენად, ჟოლოს მირთმევა სასარგებლოა მათთვის, ვისაც დეპრესია აქვს და სტრესულ სიტუაციებში ხშირად ხვდებიან.

4. ხელს უწყობს სისხლის წარმოქმნის პროცესს, რადგან დიდი რაოდენობით რკინას შეიცავს.

5. ცე ვიტამინის შემცველობის ხარჯზე აუმჯობესებს პოტენციას.

6. სასარგებლოა ორსულთათვის და მათთვის, ვისაც ბავშვის ჩასახვა სურს, რადგან ფოლიუმის მჟავას შეიცავს.

7. აუმჯობესებს თირკმლების მუშაობას, ხსნის შეშუპებას, რადგან ჟოლოს ფოთლების ნახარშს შარდმდენი თვისება გააჩნია.

8. შეიცავს მთრთიმლავ ნივთიერებებს, ამდენად, ანგინის დროს სასარგებლოა მისი ნაყენის ყელში გამოვლება.

9. ასპირინისგან განსხვავებით, არ აღიზიანებს კუჭს და არ ახდენს კუჭის წყლულის პროვოცირებას.

ჟოლო, ბევრი სხვა კენკროვანისაგან განსხვავებით, თერმული დამუშავებისას სასარგებლო თვისებებს არ კარგავს. სწორედ ამიტომ ჟოლოს მურაბა ოდითგანვე სურდოსა და გაციების დროს უებარ საშუალებად ითვლებოდა.

იმისათვის, რომ ჟოლომ კიდევ უფრო მეტი სასარგებლო ნივთიერებები შეინარჩუნოს, სასურველია, მურაბის მოხარშვის პროცესში ნახევარი ჭიქა ახალგამოწურული ჭარხლის წვენი დაუმატოთ. ასე მის შემადგენლობაში შემავალი ვიტამინები და მინერალები არ დაიშლება და პირველადი სახით შენარჩუნდება.

# როგორ ვუმკურნალოთ ბრონქიტს შინაურ პირობებში

**ჩირქოვანი ბრონქიტის დროს**

– ერთმანეთში აურიეთ თანაბარი რაოდენობის ნაძვის ან ფიჭვის კვირტი, მრავალძარღვასა და ვირისტერფას ფოთოლი. 4 ჩაის კოვზი ნარევი დააყენეთ 2 საათის განმავლობაში 1 ჩაის ჭიქა ადუღებულ წყალზე, შემდეგ 5 წუთს ხარშეთ. მიიღეთ 1/3 ჩაის ჭიქა დღეში 3-ჯერ. მრავალძარღვას ნახარში აკრძალულია ჰიპერაციდული გასტრიტისა და მაღალი მჟავიანობით მიმდინარე კუჭის წყლულოვანი დაავადების დროს.

**ქრონიკული ბრონქიტის დროს**

5 გ ან 1 ს/კ ვირისტერფას ფოთოლს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი და დააყენეთ. მიიღეთ თბილი, 1/3-1/2 ჩაის ჭიქა დღეში 2-3-ჯერ, ჭამამდე 1 საათით ადრე.

6 გ ან 2 ს/კ ტუხტის ფესვს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი და 2-3 საათს დააყენეთ, მიიღეთ ცხელი, 1/3-1/2 ჩაის ჭიქა 3-4-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ.

ტუხტის ფესვის ცივი ნაყენი ასე მზადდება: 5-6 გრამ ნედლეულს უნდა დაასხათ 100 მლ ოთახის ტემპერატურის წყალი, 1 საათის განმავლობაში დააყენოთ და მიიღოთ 1 სადილის კოვზი ყოველ 2 საათში ერთხელ.

ტუხტის ფესვის ცხელი ნაყენი: 1 სადილის კოვზ ნედლეულს დაასხით 200 მლ ოთახის ტემპერატურის წყალი, დააყენეთ 4 საათის განმავლობაში, ადუღეთ 6-7 წუთს, გააცივეთ. მიიღეთ თბილი, 2 სადილის კოვზი დღეში 2-4-ჯერ.

ნახევარლიტრიან ქილაში მოათავსეთ ალოეს ოთხი დიდი ფოთოლი და დააყენეთ ოთხი დღის განმავლობაში. შემდეგ დანაყეთ და მიიღეთ 1 დესერტის კოვზი დღეში 3-ჯერ.

**მწეველთა ბრონქიტის დროს**

1 ჩ/კ ცხენისწაბლას ყლორტის დაქუცმაცებულ ქერქს დაასხით 2 ჩაის ჭიქა ცივი ანადუღარი წყალი, დააყენეთ 8 საათის განმავლობაში, გაწურეთ და მიიღეთ 30 მლ დღეში 4-ჯერ.

**ქრონიკული მშრალი ბრონქიტის დროს**

აურიეთ ერთმანეთში მაყვალის ფოთოლი და გულყვითელას ყვავილი თანაფარდობით 2:1. 4 ჩ/კ ნარევს დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და 10 წუთს დააყენეთ. მიიღეთ 1/4 ჩაის კოვზი დღეში 4-ჯერ, ჭამის შემდეგ.

**გახანგრძლივებული ბრონქიტისას**

ერთმანეთში აურიეთ ალოეს ფოთოლი, ღორის ქონი და თაფლი თანაფარდობით 1:2:2, გემოვნებისამებრ დაამატეთ ნიგოზი ან ვანილი და 5 საათით შედგით ღუმელში მაღალ ტემპერატურაზე. მიიღეთ რძით, თითო ჩაის კოვზი დღეში 3-ჯერ. აურიეთ ერთმანეთში ხახვის წვენი და თაფლი (თანაფარდობით 1:1), მიიღეთ 1 ჩ/კ დღეში 3-4-ჯერ.

**ბავშვებისთვის**

ღორის ქონში შეწვით 2 კვერცხი და მოაყარეთ მარილი. როდესაც გაცივდება, ბავშვს მკერდზე დაადეთ და მთელი ღამით დაუტოვეთ.

აიღეთ 500 გ ხახვი, წვრილად დაკეპეთ, დაამატეთ 400 გ შაქარი და 50 გ თაფლი, კარგად აურიეთ და დაასხით 1 ლიტრი წყალი, შედგით ნელ ცეცხლზე და წამოადუღეთ, ხარშეთ 3 საათს. გააცივეთ, გაწურეთ და ჩაასხით ბოთლში. მიიღეთ 1 ს/კ დღეში 4-6-ჯერ. მკურნალობის კურსი 30-40 დღეა. შეგიძლიათ, კურსი ერთი თვის შემდეგ გაიმეოროთ.

# როგორ მოვირჩინოთ ნაღვლის ბუშტის ანთება




0,5 სტაფილო; ქიშმიში; 500გრ თაფლი; ხახვი; შაქარი; ვარდკაჭკაჭა; კამის თესლი (რომელიც აფთიაქში იხმარება); ანწლი; შაქრის ფხვნილი; 10 ლიმონი (თესლგაცლილი); 4 ც ყვითელი ზაფრანა; ქრისტესისხლას ფოთოლი

1. 0,5კგ სტაფილო, ამდენივე ქიშმიში გაატარეთ ხორცსაკეპში. დაუმატეთ 500გრ თაფლი და მიიღეთ დღეში 3-ჯერ თითო ს/კ.

2. თითო კგ თეთრი ხახვი და შაქარი 2ლ წყალში მოადუღეთ და მიიღეთ რამდენსაც შეძლებთ.

3. 500გრ ნედლი ან 300გრ ხმელი (აგვისტოში აღებული) ვარდკაჭაჭა ხარშეთ 3ლ წყალში, სანამ 1,5ლ-ზე დადუღდება. გაწურეთ და მიიღეთ დღეში 3-ჯერ, 100გრ თითო მიღებაზე ჭამის წინ. უებარი ნაცადია.

4. ორი ს/კ კამის თესლი (კამა, რომელიც აფთიაქში იხმარება) 1ლ მდუღარე წყალზე დააყენეთ 24 საათის განმავლობაში. გაწურეთ და თითო ღვინის ჭიქა მიიღეთ დღეში 3-ჯერ.

5. 2კგ ანწლის მწიფე ნაყოფს დააყარეთ 2კგ შაქრის ფხვნილი და მზეზე დადგით. მიიღება ნაყენი. ავადმყოფს მიეცით არყის ჭიქით დღეში 3-ჯერ.

6. აიღეთ ათი ცალი თესლგაცლილი ლიმონი, დაკეპეთ კანიანად, აურიეთ 0,5კგ მაისის თაფლი, მიიღეთ ს/კ დღეში 3-ჯერ, ჭამამდე ერთი საათით ადრე.

7. 4 ცალ ყვითელ ზაფრანას დაასხით 5 ც/ჭ მდუღარე და ადუღეთ 3 წთ. გააჩერეთ 24 სთ. შემდეგ გადაწურეთ. მიიღეთ 50მლ დღეში 3-ჯერ ჭამამდე ერთი საათით ადრე. გაიმეორეთ ერთი კვირის შესვენების შემდეგ.

8. დანაყეთ 1 მუჭა ქრისტესისხლას ფოთოლი (ყუნწებიანათ). დაასხით 1,5 ჩ/ჭ მდუღარე წყალი. გააჩერეთ ერთი ღამე. შემდეგ გადაწურეთ. მიიღეთ 100მლ დღეში 3-ჯერ.

# მხედველობის გასაძლიერებლად კომში შეუცვლელია

ნაყენი ასე უნდა მოამზადოთ: კომშის ორ ფოთოლს დაასხით ერთი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და თავდახურულ ჭურჭელში გააჩერეთ დაახლოებით ნახევარი საათით, ოთახის ტემპერატურაზე. შემდეგ, გადაწურეთ და დალიეთ ნახევარი ჭიქა ჭამის წინ, დარჩენილი ნახევარი ჭიქა ნაყენი კი – ჭამის შემდეგ.



კურსი ორი კვირის განმავლობაში ჩაიტარეთ და თავად დარწმუნდებით, რომ ხველაც შეგიჩერდებათ და მხედველობაც გაგიუმჯობესდებათ.

ასევე, ხველების დროს კარგია კომშის გულისა და კურკების ნახარშის სმა. კერძოდ, გაჭერით კომში შუაზე. ამოჭერით დანით გული კურკებიანად. დაასხით ორი ჭიქა ცივი წყალი, დადგით ნელ ცეცხლზე და ადუღეთ დაახლოებით 10-15 წუთი. დალიეთ ერთი ჩაის ჭიქა დღეში ორჯერ, თბილი, ჭამის შემდეგ – დილით და საღამოს.

წნევის დასაწევად შეგიძლიათ, შემდეგი ნაყენი მოამზადოთ: ოთხ ცალ კომშის ფოთოლს დაასხით ერთი ლიტრი წყალი. ადუღეთ ათი წუთის განმავლობაში. დალიეთ ნაყენი დღეში ორჯერ, ჭამის წინ ან შემდეგ. ეს ნაყენი ასევე კარგია მომატებული პროტრომბინის დროსაც, რადგან ის მის დონეს არეგულირებს.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# დინამომ ვერ მოიგო, საბურთალომ თავდამსხმელს გაუტანა

დასრულდა საქართველოს გარდამავალი ჩემპიონატის მე-5 ტური. მე-2 სათამაშო დღეს თეთრ ჯგუფში მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო წითელ ჯგუფში – ფეხბურთისთვის იშვიათი მოვლენა.

### თეთრი ჯგუფი

**დინამო (თბ)-შუქურა 1:1**

**თბილისი.** დინამო არენა

1:0 ამისულაშვილი (10), 1:1 გურული (24)

**დინამო:** სკრიბე, თევზაძე, ამისულაშვილი, რენე, ლობჟანიძე (ზარია 46), პარუნაშვილი (მიქელთაძე 73), ცინცაძე, პაპუნაშვილი, კიტეიშვილი (ველევი 24), ჯილაური, დვალიშვილი

**შუქურა:** ჯიოევი, კომახიძე, მირცხულავა, ჭეჟია, ჩაჩუა, საბაძე, არზიანი, გურული (მალანია 73), კონიეჰა (შალამბერიძე 87), ომანიძე (მამულაშვილი 60), კუტალია

მოულოდნელი ქულები დაკარგა თბილისის დინამომ. მეტოქედ ქობულეთის შუქურა ჰყავდა, რომლის მიზანი ამ სეზონში ელიტაში ადგილის შენარჩუნებაა.

დებიუტში მასპინძლებმა მიჯრით ორი კუთხური მოაწოდეს, პირველი დარტყმა კარში კი ჯაბა ჯილაურმა შეასრულა. მესამედ ჩამოწოდებულ კუთხურს შუქურას კართან გოლი მოჰყვა. რამდენიმე გადაცემის შემდეგ უჩა ლობჟანიძისგან ბურთი ალექსანდრე ამისულაშვილს მიუვიდა და დინამოელთა კაპიტანმა კი ზუსტი დარტყმით აიღო სტუმართა კარი – 1:0.

მატჩის 21-ე წუთზე ოთარ კიტეიშვილმა მიიღო ტრავმა და ველარ მოახერხა მატჩის გაგრძელება, მის მაგივრად მოედანზე სტეფან ველევი გამოჩნდა. სტუმრებმა ამასობაში ჯარიმის დარტყმის უფლება მოიპოვეს, ალექსანდრე გურულმა ჩააწოდა, ბურთი არავის შეხებია და ისე გავიდა თბილისელთა კარში – 1:1.

მატჩი დაძაბულად გაგრძელდა. პირველი ნახევრის ბოლოს სტუმრებმა სახიფათოდ შეუტიეს, არზიანმა საჯარიმოში ჩააწოდა, კარში დარტყმული ბურთი კი უჩა ლობჟანიძემ მოიგერია.

მეორე ნახევარი დინამომ ცვლილებით დაიწყო. უჩა ლობჟანიძის ნაცვლად მოედანზე გიორგი ზარია შევიდა. 57-ე წუთზე გიორგი პაპუნაშვილს ჰქონდა კარგი მომენტი მეტოქის საჯარიმოში, მაგრამ ბოლო წამს მცველებმა განმუხტეს სიტუაცია. 62-ე წუთზე კიდევ ერთხელ გადარჩა შუქურას კარი – ჯაბა ჯილაურმა ახლო მანძილიდან დაარტყა, ბურთი მცველს მოხვდა და კუთხურზე გადავიდა. მომდევნო შეტევაში ჯაბა ჯილაურს კიდევ ერთი მცდელობა გაუფუჭდა. რამდენიმე ცრუ მოძრაობის შემდეგ შესრულებული მისი დარტყმა ამჯერად ქობულეთელთა კარის ხარიხამ მოიგერია.

81-ე წუთზე ისევ ჯილაური აქტიურობდა – ჯაბამ შორი მანძილიდან ძლიერად გაისროლა ბურთი კი ცხრიანიდან შუქურას მეკარემ აზამატ ჯიოევმა მოხსნა. მატჩის ბოლო წუთზე სტეფან ველევის თავით დარტყმული ბურთი ოდნავ აცდა მიზანს. მსაჯის მიერ კომპენსირებულ მეორე წუთზე სტუმართა კარი კიდევ ერთხელ გადაურჩა ხიფათს. ვლადიმერ დვალიშვილმა ტექნიკურად ითამაშა, კართან ახლოს მყოფ გიორგი პაპუნაშვილს დაუგორა ბურთი, მისი დარტყმული კი ისევ მცველმა გამოიტანა დაუცველი კარიდან. საბოლოოდ მეორე ტაიმში კოლოსალური უპირატესობის მიუხედავად, დინამომ ვერ მოახერხა გოლის გატანა და შუქურას ფრედ 1:1 დაცილდა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩიხურა | 4 | 3 | 1 | 0 | 9-3 | 10 |
| 2.დინამო (თბ) | 4 | 2 | 2 | 0 | 8-3 | 8 |
| 3.ლოკომოტივი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-5 | 7 |
| 4.გურია | 5 | 1 | 2 | 2 | 3-6 | 5 |
| 5.ცხინვალი | 4 | 1 | 1 | 2 | 6-7 | 4 |
| 6.შუქურა | 5 | 0 | 3 | 2 | 3-7 | 3 |
| 7.ტორპედო | 4 | 0 | 2 | 2 | 1-5 | 2 |

### წითელი ჯგუფი

**საბურთალო-დილა 2:1**

**თბილისი.** მიხეილ მესხი

0:1 გამცემლიძე (26), 1:1 ფრანცისკო გარსია პენა (73), 2:1 მარგველაშვილი (88)

**საბურთალო:** ქურდაძე, იაშვილი, მარგველაშვილი, გრიგალაშვილი (კოხრეიძე 66), ჩაბრაძე (სოფრომაძე 31), ალთუნაშვილი, ელვინ ტერა, ხარაიშვილი, ფანცულაია (ვაგნერი 60), სანტიაგო ხარა, ფრანცისკო გარსია პენა

**დილა:** ბეგაშვილი, სამხარაძე, სალუქვაძე, ღონღაძე, რაზმაძე (გავაშელიშვილი 60), ცაცკრიალაშვილი (ეტოუ რომარია 46), გამცემლიძე (ერისთავი 64), ნონიკაშვილი, წიქარიძე, მოდებაძე, გელაშვილი

**გაძევება:** ბეგაშვილი (76)

პირველ ტაიმში დედაქალაქელები მინიმალური სხვაობით მარცხდებოდნენ, თუმცა პაბლო ფრანკო მარტინის შეგირდებმა მეორე ტაიმში თამაში შემოატრიალეს და დამსახურებული 3 ქულაც მოიპოვეს.

თამაში საინტერესო და დაძაბული გამოდგა – გულშემატკივარმა გატანილი გოლების გარდა, მრავლად ყვითელი ბარათიც იხილა, ასევე იშვიათი შემთხვევის მომსწრეც გახდა, როდესაც მეტოქეს მეკარე გაუძევეს და კარში მინდვრის მოთამაშე ჩადგა.

საგოლე ეპიზოდები მრავლად რომ შეიქმნა, ეს ძირითადად დილას კართან ხდებოდა, მაგრამ საბურთალოელები მის რეალიზებას ვერ ახერხებდნენ. ანგარიშის გახსნა ფრანცისკო გარსია პენას შეეძლო, როდესაც ფლანგური ჩაწოდების შემდეგ თავით დაარტყა, მაგრამ მეკარემ მოიგერია ბურთი.




ტაიმის შუაში კი სტუმრები დაწინაურდნენ – ირაკლი მოდებაძემ ალექსანდრე გამცემლიძეს უპასა, ამ უკანასკნელმა კი ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში. პაბლო ფრანკო მარტინმა მალე იძულებითი ცვლილება განახორციელა – ტრავმირებული გრიგოლ ჩაბრაძე ანდრო სოფრომაძით შეცვალა, თუმცა მოედნის დატოვებამდე ჩაბრაძეს გათანაბრება შეეძლო, მაგრამ ახლო მანძილიდან კარს გადააცილა ბურთი. ტაიმის დასრულებამდე საბურთალოელებმა კიდევ ერთი ხელსაყრელი მომენტი გაატანეს ქარს.

მეორე ნახევარში ძირითადად მასპინძლები დომინირებდნენ, ეს გასაგებიც იყო, რადგან ქალაქელებს მატჩის გადასარჩენად მინიმუმ ერთი გოლის გატანა მართებდათ. 61-ე წუთზე სანდრო ალთუნაშვილმა გაუშვა ასპროცენტიანი გოლის გატანის შესაძლებლობა, როდესაც ახლო მანძილიდან ზუსტი დარტყმა ვერ შეძლო. თბილისელების მასიურმა იერიშებმა შედეგი 73-ე წუთზე გამოიღო, როდესაც ნოდარ იაშვილის ფლანგურ ჩაწოდებას, ფრანცისკო გარსია პენას შედეგიანი დარტყმა მოჰყვა, 1:1.

გათანაბრების მერე, პაბლო მარტინის ბიჭებმა შეტევებს კიდევ უფრო უმატეს და 76-ე წუთზე ბრაზილიელი ვაგნერი მეკარესთან პირისპირ გავიდა. გორელთა მეკარემ საჯარიმოს გარეთ წესების დარღვევით შეაჩერა მოწინააღმდეგე, მთავარმა არბიტრმა გიორგი ბეგაშვილს წითელი ბარათი უჩვენა. ამ დროისთვის ორივე მწვრთნელს 3-3 ცვლილება განხორციელებული ჰქონდა, აქედან გამომდინარე კარში მინდვრის რომელიმე მოთამაშე უნდა ჩამდგარიყო.

მეკარის მაისური დროებით თავდამსხმელმა ნიკოლოზ გელაშვილმა მოირგო, რომელმაც ორჯერ კი შეძლო ბურთის მოგერიება, მაგრამ 88-ე წუთზე მასპინძლების კუთხურის შემდეგ გამოსვლაზე შეცდა და გაგი მარგველაშვილმა თავური დარტყმით საბურთალო წინ გაიყვანა.

დარჩენილი დრო დაძაბული გამოდგა: ორივე გუნდს ჰქონდა კარის აღების შესაძლებლობა, ერთ-ერთ ეპიზოდში საბურთალოელები აშკარა გოლისგან გადარჩნენ, როდესაც გიორგი ერისთავის დარტყმული ბურთი სანდრო ალთუნაშვილმა ზედ კარის ხაზიდან გამოიტანა.

საბოლოოდ 2:1 თბილისელების სასარგებლოდ.

**სამტრედია-კოლხეთი 2:0**

**სამტრედია.** ეროსი მანჯგალაძე

1:0 ზივზივაძე (24), 2:0 დათუნაიშვილი (62)

**სამტრედია:** მიგინეიშვილი, გოგიაშვილი, სანდოხაძე, მჭედლიშვილი, შერგელაშვილი, დათუნაიშვილი, მარკოზაშვილი (ჯიქია 83), რაჯამაშვილი, მანჯგალაძე, არაბული, ზივზივაძე (ხაბეიშვილი 90)

**კოლხეთი:** თებიძე, რამალდანოვი, კაკულია (გედენიძე 78), ჩაკვეტაძე (ჯღამაია 63), ქებურია, ბოლქვაძე, გოგონაია, ოზარკივი, ჟიშკარიანი, ივანკო (ნიქაბაძე 46), კორობკა

სამტრედიამ საკუთარ მოედანზე ფოთის კოლხეთი მიიღო და მორიგი გამარჯვება მოიპოვა. იმერლებმა ორბურთიანი სხვაობით დაამარცხეს მეტოქე – 2:0. გოლები ბუდუ ზივზივაძისა და გიორგი დათუნაიშვილის ანგარიშზეა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 4 | 3 | 1 | 0 | 11-2 | 10 |
| 2.კოლხეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 4-7 | 9 |
| 3.სამტრედია | 4 | 2 | 2 | 0 | 9-4 | 8 |
| 4.საბურთალო | 4 | 2 | 1 | 1 | 6-5 | 7 |
| 5.დილა | 4 | 2 | 0 | 2 | 8-7 | 6 |
| 6.სიონი | 5 | 1 | 0 | 4 | 7-11 | 3 |
| 7.ზუგდიდი | 4 | 0 | 0 | 4 | 2-11 | 0 |

# ზვიად გოგოჭური პარაოლიმპიური ჩემპიონია



ქართველი ძიუდოისტი, ზვიად გოგოჭური რიოს პარაოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გახდა. ქართველი ძიუდოისტი ფინალში უკრაინელ ალექსანდრ ნაზარენკოს შეხვდა და მეტოქის დამარცხების შემდეგ ქართული ჰიმნიააჟღერა.

29 წლის ქართველმა პარასპორტსმენმა ბრაზილიურ ტატამზე სამი შეხვედრა ჩაატარა, სამივე მოიგო და უმაღლეს საფეხურზე ავიდა. საქართველოდან პირველი სპორტსმენი გახდა, რომელმაც პარაოლიმპიურ თამაშებზე მედლის მოპოვება შეძლო. ისტორიული მედალი ოქროსია.

90 კილოგრამის ოლიმპიურ კონკურენციაში სულ 11 პარაძიუდოისტი ჩაება. გოგოჭური წილისყრამ მეორე წრეში – მეოთხედფინალში განთესა და ფინალის გზაზე ორი შეხვედრის მოგება აღმოჩნდა საკმარისი.

მეოთხედფინალში გოგოჭურმა არგენტინელ ხორგე ლენცინას მოუგო იპონით, ნახევარფინალში კი ამერიკელი დარტანიონ კროკეტი წუთნახევარში შებოჭა.

# შედეგები

### 11 სექტემბერი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

სუონსი-ჩელსი ........................ 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 4 | 4 | 0 | 0 | 11-4 | 12 |
| 2.ჩელსი | 4 | 3 | 1 | 0 | 9-4 | 10 |
| 3.მანჩესტერი | 4 | 3 | 0 | 1 | 7-3 | 9 |
| 4.ტოტენჰემი | 4 | 2 | 2 | 0 | 7-2 | 8 |
| 5.ლივერპული | 4 | 2 | 1 | 1 | 9-7 | 7 |
| 6.არსენალი | 4 | 2 | 1 | 1 | 8-6 | 7 |
| 7.ჰალი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-3 | 7 |
| 8.ევერტონი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-2 | 7 |
| 9.მიდლსბრო | 4 | 1 | 2 | 1 | 4-4 | 5 |
| 10.უოტფორდი | 4 | 1 | 1 | 2 | 7-8 | 4 |
| 11.კრ.პალასი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-4 | 4 |
| 12.ვესტ ბრომვიჩი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-3 | 4 |
| 13.სუონსი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-6 | 4 |
| 14.ბორნმუთი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-5 | 4 |
| 15.ბარნლი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-5 | 4 |
| 16.ლესტერი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-7 | 4 |
| 17.ვესტ ჰემი | 4 | 1 | 0 | 3 | 5-9 | 3 |
| 18.საუთჰემპტონი | 4 | 0 | 2 | 2 | 3-6 | 2 |
| 19.სანდერლენდი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-5 | 1 |
| 20.სტოკი | 4 | 0 | 1 | 3 | 2-10 | 1 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ასტონ ვილა-ნოტინგემი ........................ 2:2

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ხიხონი-ლეგანესი ........................ 2:1
ვალენსია-ბეტისი ........................ 2:3
გრანადა-ეიბარი ........................ 1:2
დეპორტივო-ბილბაო ........................ 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 3 | 3 | 0 | 0 | 10-3 | 9 |
| 2.სევილია | 3 | 2 | 1 | 0 | 8-5 | 7 |
| 3.ხიხონი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-2 | 7 |
| 4.ლას პალმასი | 3 | 2 | 0 | 1 | 10-5 | 6 |
| 5.ბარსელონა | 3 | 2 | 0 | 1 | 8-4 | 6 |
| 6.ეიბარი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-3 | 6 |
| 7.ატლეტიკო | 3 | 1 | 2 | 0 | 5-1 | 5 |
| 8.ვილიარეალი | 3 | 1 | 2 | 0 | 3-1 | 5 |
| 9.ალავესი | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| 10.დეპორტივო | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 11.ლეგანესი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 12.სოსიედადი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| 13.ბეტისი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-8 | 4 |
| 14.ბილბაო | 3 | 1 | 0 | 2 | 2-3 | 3 |
| 15.ესპანიოლი | 3 | 0 | 2 | 1 | 7-9 | 2 |
| 16.მალაგა | 3 | 0 | 2 | 1 | 3-5 | 2 |
| 17.გრანადა | 3 | 0 | 1 | 2 | 3-8 | 1 |
| 18.ოსასუნა | 3 | 0 | 1 | 2 | 3-8 | 1 |
| 19.ვალენსია | 3 | 0 | 0 | 3 | 4-8 | 0 |
| 20.სელტა | 3 | 0 | 0 | 3 | 1-7 | 0 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ვერდერი-აუგსბურგი ........................ 1:2
მაინცი-ჰოფენჰაიმი ........................ 4:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 2 | 2 | 0 | 0 | 8-0 | 6 |
| 2.ჰერტა | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 3.კიოლნი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-0 | 4 |
| 4.ვოლფსბურგი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-0 | 4 |
| 5.ლაიპციგი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 6.ლევერკუზენი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-3 | 3 |
| 7.ფრაიბურგი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-3 | 3 |
| 8.დორტმუნდი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 9.აინტრახტი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 10.გლადბახი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 3 |
| 11.აუგსბურგი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 12.დარმშტადტი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 3 |
| 13.ჰოფენჰაიმი | 2 | 0 | 2 | 0 | 6-6 | 2 |
| 14.მაინცი | 2 | 0 | 1 | 1 | 5-6 | 1 |
| 15.ჰამბურგი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |
| 16.ინგოლშტადტი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 17.შალკე | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |
| 18.ვერდერი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-8 | 0 |

**იტალია. სერია ა**

ბოლონია-კალიარი ........................ 2:1
ატალანტა-ტორინო ........................ 2:1
კიევო-ლაციო ........................ 1:1
ჯენოა-ფიორენტინა ........................ 0:0
მილანი-უდინეზე ........................ 0:1
რომა-სამპდორია ........................ 3:2
პესკარა-ინტერი ........................ 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 3 | 3 | 0 | 0 | 6-2 | 9 |
| 2.რომა | 3 | 2 | 1 | 0 | 9-4 | 7 |
| 3.ნაპოლი | 3 | 2 | 1 | 0 | 9-4 | 7 |
| 4.ჯენოა | 2 | 2 | 0 | 0 | 6-2 | 6 |
| 5.სამპდორია | 3 | 2 | 0 | 1 | 5-4 | 6 |
| 6.უდინეზე | 3 | 2 | 0 | 1 | 3-4 | 6 |
| 7.ბოლონია | 3 | 2 | 0 | 1 | 4-6 | 6 |
| 8.პესკარა | 3 | 1 | 1 | 1 | 6-4 | 4 |
| 9.კიევო | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 4 |
| 10.ლაციო | 3 | 1 | 1 | 1 | 5-5 | 4 |
| 11.ინტერი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| 12.ტორინო | 3 | 1 | 0 | 2 | 8-6 | 3 |
| 13.ფიორენტინა | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 14.ატალანტა | 3 | 1 | 0 | 2 | 6-7 | 3 |
| 15.მილანი | 3 | 1 | 0 | 2 | 5-7 | 3 |
| 16.სასუოლო | 3 | 1 | 0 | 2 | 2-6 | 3 |
| 17.კალიარი | 3 | 0 | 1 | 2 | 4-7 | 1 |
| 18.პალერმო | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |
| 19.კროტონე | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| 20.ემპოლი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |

**იტალია. სერია ბ**

ტერნანა-სპეცია ........................ 1:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ნანტი-მეცი ........................ 0:3
რენი-კაენი ........................ 2:0
ნიცა-მარსელი ........................ 3:2

**სატურნირო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მონაკო | 4 | 3 | 1 | 0 | 10-4 | 10 |
| 2.ნიცა | 4 | 3 | 1 | 0 | 6-3 | 10 |
| 3.მეცი | 4 | 3 | 0 | 1 | 8-5 | 9 |
| 4.ბორდო | 4 | 3 | 0 | 1 | 8-7 | 9 |
| 5.გენგამი | 4 | 2 | 2 | 0 | 7-4 | 8 |
| 6.რენი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-2 | 7 |
| 7.პსჟ | 4 | 2 | 1 | 1 | 6-4 | 7 |
| 8.ლიონი | 4 | 2 | 0 | 2 | 8-7 | 6 |
| 9.ბასტია | 4 | 2 | 0 | 2 | 5-4 | 6 |
| 10.კაენი | 4 | 2 | 0 | 2 | 5-6 | 6 |
| 11.ტულუზა | 4 | 1 | 2 | 1 | 5-3 | 5 |
| 12.სტ.ეტიენი | 4 | 1 | 2 | 1 | 6-5 | 5 |
| 13.მონპელიე | 4 | 1 | 2 | 1 | 4-5 | 5 |
| 14.მარსელი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-5 | 4 |
| 15.ლილი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-8 | 4 |
| 16.დიჟონი | 4 | 1 | 0 | 3 | 5-7 | 3 |
| 17.ანჟე | 4 | 1 | 0 | 3 | 3-5 | 3 |
| 18.ნანტი | 4 | 1 | 0 | 3 | 1-5 | 3 |
| 19.ნანსი | 4 | 1 | 0 | 3 | 2-7 | 3 |
| 20.ლორიანი | 4 | 0 | 0 | 4 | 2-10 | 0 |

**ჰოლანდია. ეზედივიზიონი**

ფეინოორდი-დენ ჰააგი ........................ 3:1
იგლზი-როდა ........................ 2:0
გრონინგენი-სპარტა ........................ 1:1
აიაქსი-ვიტესი ........................ 1:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ფერეირა-ეშტორილი ........................ 0:0
მარიტიმუ-რიუ ავე ........................ 0:1
ბრაგა-ბოავიშტა ........................ 3:0
შავიში-სეტუბალი ........................ 0:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

უფა-კრასნოდარი ........................ 0:0
სპარტაკი-ლოკომოტივი ........................ 1:0
არსენალი-ზენიტი ........................ 0:5

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლოზანა-ვადუცი ........................ 5:0
სიონი-თუნი ........................ 1:0
სტ.გალენი-ლუგანო ........................ 0:2

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ადმირა-ზალბურგი ........................ 0:4

**ბელგია. 1 დივიზიონი**

გენტი-ლოკერენი ........................ 3:0
ანდერლეხტი-შარლერუა ........................ 3:2
სტანდარდი-გენკი ........................ 2:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

აეკი-ქსანთი ........................ 4:1
პაოკი-პანეთოლიკოსი ........................ 2:1
იანინა-ატრომიტოსი ........................ 3:0
ოლიმპიაკოსი-ვერია ........................ 6:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

რიზე-აკჰისარი ........................ 1:0
ტრაბზონი-ოსმანლი 0:2 ........................ (0:1)
ანთალია-ქონია ........................ 1:3
ფენერბახჩე-ბურსა ........................ 0:1

**ჩეხეთი. სინოტ ლიგა**

ბოჰემიანსი 1905-ბრნო ........................ 3:0
იაბლონეცი-დუკლა ........................ 1:1
ტეპლიცე-სლავია ........................ 2:2

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ლეხი-პოგონი ........................ 3:1
იაგელონია-ვისლა ........................ 2:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ზვეზდა-კარპატი ........................ 1:0
ვორსკლა-ვოლინი ........................ 2:1
ჩერნომორეცი-ოლექსანდრია ........................ 1:0
ოლიმპიკი-დნიპრო ........................ 3:0

**დანია. სუპერლიგა**

სონდერიისკე-სილკებორგი ........................ 2:2
ოლბორგი-ბრონდბიუ ........................ 0:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

სუნდსვალდი-აიკი ........................ 1:3
ფალკენბერგი-დიურგარდენი ........................ 1:2
ნორჩიოპინგი-იონჩოპინგი ........................ 5:1
ესტერსუნდი-ჰელსინბორგი ........................ 2:0

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ტრომსო-სონგდალი ........................ 2:0
ლილესტრიომი-ოდ გრელანდი ........................ 2:4
სარპსბორგი-ბოდო გლიმტი ........................ 1:2
სტაბეკი-რუსენბორგი ........................ 0:2
მიოლდე-ჰაუგესუნდი ........................ 0:0

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

## აშშ-ში სმიტსონის ინსტიტუტის ძვირფასი ქვების გამოფენა იხსნება



დალასში იხსნება სმიტსონის ინსტიტუტის ძვირფასი ქვების გამოფენა, რომლის დათვალიერებაც მეცნიერებისა და ბუნების მუზეუმშია შესაძლებელი.

ექსპონატებად იქცა 29 უმსხვილესი დამუშავებული ძვირფასი ქვა ინსტიტუტის კოლექციიდან. ისინი ერთად პირველად გამოიტანეს გამოფენაზე.

კერძოდ, დამთვალიერებლები შეძლებენ ნახონ ოქროს ტოპაზი, რომლის წონა თითქმის 23 ათას კარატს შეადგენს. ასევე წარმოდგენილია ყველაზე დიდი პერიდოტი.

მხოლოდ სამი ქვა წარმოადგენს საიუველირო ნაკეთობის ნაწილს. ესაა 911 კარატიანი ზურმუხტი, 56 კარატიანი ამეთვისტო და 396 კარატიანი კუნციტი.

როგორც კოლექციის მენეჯერმა რასელ ფეზერმა განაცხადა, სმიტსონის ინსტიტუტის ამ კრებულს თავისუფლად შეიძლება ეწოდოს აშშ-ს სიამაყე.

## დე გრისოგონომ მსოფლიოში ყველაზე ძვირფასი დაუმუშავებელი ალმასი წარმოადგინა



შვეიცარიულმა საიუველირო კომპანიამ მსოფლიოში ყველაზე ძვირფასი დაუმუშავებელი ალმასი წარმოადგინა. ეს პარიზში ანტიკვარების ბიენალეზე ბრენდის დაბრუნების აღსანიშნავად გაკეთდა.

813 კარატიანი ალმასი სახელწოდებით „თანავარსკვლავედი“ ბოტსვანაში იქნა ნაპოვნი. 2016 წლის მაისში ის შვეიცარიული კომპანიის პარტნიორმა – დუბაის კომპანია ნემესის ინტერნეიშენელმა 63 მილიონ დოლარად შეიძინა.

„თანავარსკვლავედს“ ანტვერპენში დაამუშავებენ. სავარაუდოდ მისგან მსოფლიოში ყველაზე მსხვილი ალმასი გამოვა (300-დან 350 კარატამდე)

უფრო ადრე კომპანიებმა წარმოადგინეს კიდევ ერთი დაუმუშავებელი ალმასი, რომლის წონა 404 კარატს შეადგენდა. მისი პრეზენტაცია კანის კინოფესტივალის ფარგლებში გაიმართა.

## ელისაბედ II ყველაზე მოდური ადამიანების სიაში მოხვდა



დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ II მსოფლიოს ყველაზე მოდური ადამიანების სიაში მოხვდა. ამ რეიტინგში ასევე აღმოჩნდა მსახიობი ჰელენ მირენი, რომელმაც ფილმში შეასრულა ელისაბედ II-ს როლი.

მსოფლიოს ყველაზე მოდური ქალების რეიტინგში ასევე წარმოდგენილები არიან ჰოლანდიის დედოფალი მაქსიმა, ბრიტანელი მწერალი ზედი სმიტი, ამერიკელი მსახიობი და მოდელი ან დუონგი, ფრანგი ბალერინა ორელი დიუპონი და სხვა ცნობილი ადამიანები.

მსოფლიოს ყველაზე მოდური მამაკაცების სიაში კი მოხვდნენ, აშს-ს ვიცე-პრეზიდენტი ჯო ბაიდენი, დანიის კრონპრინცი ფრედერიკი, ბრიტანეთის პრინცი ჰარი, ამერიკელი არტ-დილერი ვიტო შნაბელი, კანადის პრემიერ-მინისტრი ჯასტინ ტრიუდო.

სხვადასხვა კატეგორიებში წარმოდგენილნი არიან მაგალითად, კემბრიჯის ჰერცოგინია კეტრინი, ფეხბურთელი დევიდ ბექჰემი, მომღერალი ლედი გაგა.

ყველაზე მოდურ წყვილებად კი დასახელდნენ ჯონ ელკანი მეუღლე ლავინთან ერთად, მწერალი და ილუსტრატორი ჯუმან მალუფი და მისი მეუღლე, რეჟისორი უეს ანდერსონი, აშშ-ს პრეზიდენტი ბარაკ ობამა და მისი მეუღლე მიშელი.

## შვედეთის პრინცი ალექსანდრე მონათლეს



შვედეთში დროტნინგჰოლმის სასახლის სამრეკლოში მონათლეს პრინცი ალექსანდრე. ბავშვის მშობლები არიან პრინცი კარლ ფილიპი და პრინცესა სოფია.

ცერემონიაში მონაწილეობდა უპსალის არქიეპისკოპოსი და შვედეთის ეკლესიის მეთაური ანტიე იაკელენი. ნათლობისთვის წყალი კუნძულ ელანდზე მდებარე განსაკუთრებული წყაროდან იქნა მოტანილი.

ხუთი თვის ალექსანდრე გამოწყობილი იყო პერანგში, რომელიც შვედეთის სამეფო ოჯახში 1906 წლიდან სწორედ ამგვარი ცერემონიებისთვის გამოიყენება.

პრინცის ნათლობას ესწრებოდნენ შვედეთის პარლამენტისა და ხელისუფლების წევრები, ასევე საზღვარგარეთის სამეფო სახლების წარმომადგენლები.

## ელვის პრესლის ქალიშვილი სახლს ყიდის



ამერიკელი მუსიკოსის ელვის პრესლის ქალიშვილი დიდ ბრიტანეთში ყიდის მამულს, რომელიც 4,5 მილიონ ფუნტადაა შეფასებული. ლიზი-მარია პრესლის აპარტამენტები სოფელ როტერფილდის მახლობლად მდებარეობს.

შენობა ბაღებითაა გარემოცული. ის XV საუკუნეშია აშენებული, თუმცა მას შემდეგ მრავალჯერ გაფართოვდა და შეკეთდა. ამჟამად მასში 11 საძინებელია, ასევე კინოდარბაზი, საბილიარდე, აუზი, სპა და საუნა. მის ტერიტორიაზე ასევეა ავტოფარეხი, ავტოსადგომი, საჯინიბო, ორანჟერეა და კოტეჯი სტუმრებისთვის.

ამჟამად 48 წლის პრესლი აშშ-ში ცხოვრობს თავის ოჯახთან ერთად. ბრიტანეთში მამული მან 2010 წელს ქმართან ერთად შეიძინა, რომელთან განქორწინებაზე განცხადება მიმდინარე წელს შეიტანა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## მსოფლიოს ყველაზე შთამბეჭდავი ხიდები

ბრიტანულმა გამოცემა დი ტელეგრაფმა მსოფლიოს ყველაზე შთამბეჭდავი ხიდები დაასახელა, რომელშიც 21 კონსტრუქცია იქნა შეყვანილი.

კერძოდ, ჩამონათვალში მოხვდა სევერინის ხიდი (დიდი ბრიტანეთი), რომელსაც მიმდინარე წელს 50 წელი უსრულდება, ასევე ჰამბერის ხიდი (დიდი ბრიტანეთი), რომელიც 1981 წელს მისი გახსნის მომენტისთვის მსოფლიოში ყველაზე გრძელ დაკიდებულ ხიდად აღიარეს.

გამოცემამ სიაში ასევე შეიყვანა მსოფლიოში ყველაზე



გრძელი ხიდი – დანიან-კუნშანის ვიადუკი. გარდა ამისა, რეიტინგში წარმოდგენილია დაკიდული ხიდი აკასი-კაიკე (იაპონია), მსოფლიოში ყველაზე მაღალი სატრანსპორტო ხიდი – ვიადუკ მიიო (საფრანგეთი), მსოფლიოში ყველაზე პატარა გასახსნელი ხიდი სომერსეტი (ბერმუდი).

ყველაზე შთამბეჭდავი ხიდების ჩამონათვალში ასევე შევიდა ოქროს კარიბჭე (აშშ), ცინდაოს ხიდი (ჩინეთი), ევროპაში ყველაზე გრძელი ხიდი ვასკო და გამა (პორტუგალია), ფაბრიჩოს ხიდი (იტალია), რომელიც ყველაზე უძველეს ხიდად ითვლება, ჰარბორ-ბრიჯი (ავსტრალია), ლონდონისა და მთელი ბრიტანეთის სიმბოლო – ტაუერის ხიდი და ფლორენციის სახელგანთქმული ხიდი პონტე ვეკიო (იტალია).

## „მის ამერიკა“ არკანზასელი გახდა



ამერიკის არკანზასის შტატის მცხოვრებმა სევი შილდსმა მოიგო სილამაზის კონკურსი „მის ამერიკა“. აშშ-ს ყველაზე ლამაზი გოგონა ატლანტიკ-სიტიში აირჩიეს.

კონკურსის დროს შილდსის ჰკითხეს, თუ რას ფიქრობდა ის აშშ-ს პრეზიდენტობის კანდიდატზე დემოკრატიული პარტიიდან ჰილარი კლინტონზე. რაზეც მან უპასუხა, რომ ამ დროისთვის როგორც კლინტონმა, ისე მისმა მეტოქემ რესპუბლიკური პარტიიდან დონალდ ტრამპმა კარგად იმუშავეს, თუმცა, მისი აზრით, ორივე კანდიდატს გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრი აქვთ.

კონკურსში გამარჯვების შემდეგ ჟურნალისტებთან ურთიერთობისას შილდსმა განმარტა, რომ ის კლინტონისა და ტრამპისგან კომპრომისებისთვის მეტ ყურადღებას მოელის.

– ჩვენი ქვეყანა კომპრომისებზე იქნა დაფუძნებული. ახლა კი ჩვენ ვცხოვრობთ სახელმწიფოში, სადაც ორივე პარტია უბრალოდ ერთმანეთზე ყვირილში ატარებს დროს, – განმარტა „მის ამერიკამ“.

კონკურსში ტიტულის მოსაპოვებლად 52 კანდიდატი იბრძოდა. ტოპ-ოთხეულში შილდსის გარდა მოხვდნენ მისისიპის, ვაშინგტონის, ნიუ-იორკისა და სამხრეთ კაროლინას წარმომადგენლები.

## ასტროპროგნოზი
### 13 სექტემბრისთვის



**ვერძი** – თუ პრინციპული იქნებით, მიზანს მიაღწევთ. თვით ყველაზე მძიმე სიტუაციებიდანაც კი გამოსავალს ადვილად იპოვით. დღის მეორე ნახევარი განსაკუთრებით წარმატებული იქნება. **კურო** – სამუშაო თქვენგან დიდ ძალისხმევას მოითხოვს, თუმცა შრომა დაუფასებელი არ დარჩება. დღის მეორე ნახევარში პლანეტები ბუნებაში გასვლასა და დასვენებას გირჩევენ. **ტყუპები** – პირადი მომხიბვლელობის წყალობით წარმატებას იოლად მიაღწევთ, თუმცა ამაში თქვენი შრომისმოყვარეობა და ინტელექტიც დიდ როლს ითამაშებს. **კირჩხიბი** – ხელმძღვანელ პირებთან და ბიზნესპარტნიორებთან ურთიერთობა წარმატებას მოგიტანთ. დღის პირველ ნახევარში მელანქოლიური განწყობა დაგეუფლებათ, თუმცა საამისო მიზეზი ნამდვილად არ გაქვთ. **ლომი** – დღეს გელით საინტერესო კონტაქტები და შეხვედრები. გათავისუფლდით ნეგატიური ემოციებისა და დაგროვილი საქმეებისაგან. **ქალწული** – საყიდლებზე წასვლა რეკომენდებულია. ნავაჭრით კმაყოფილი დარჩებით, ოღონდ ფულს ნუ გაფლანგავთ. **სასწორი** – შესაფერისი პერიოდია შემოქმედებითი პოტენციალის გამოსავლენად, თუმცა ვარსკვლავები ფიზიკური დატვირთვისა და კოლექტიური საქმიანობისაგან თავის შეკავებას გირჩევენ. **ღრიანკალი** – იყავით მიმნდობი, მიმტევებელი, ალერსიანი და საპასუხოდ ამავეს მიიღებთ. განსაკუთრებით გაუფრთხილდით ოჯახურ ურთიერთობებს. **მშვილდოსანი** – ექსტრავაგანტურობისა და ორიგინალობის მოყვარულებს ვარსკვლავები დიდ გამარჯვებას უწინასწარმეტყველებენ. თქვენი მდიდარი შინაგანი სამყარო ახალი შეგრძნებებითა და საინტერესო მიგნებებით გაჯერდება. **თხის რქა** – დღეს განსაკუთრებით იღბლიანი პერიოდია მამაკაცებისათვის, რომლებიც კომერციული საქმიანობით არიან დაკავებულნი. სამაგიეროდ, ქალებს, შესაძლოა, ვინმემ მახე დაგიგოთ. ერიდეთ უცნობ ადამიანებთან ურთიერთობას. **მერწყული** – სულიერ წონასწორობას აღგიდგენთ ბუნებაში გასეირნება. სიფრთხილე გამოიჩინეთ მნიშვნელოვან დოკუმენტებზე ხელის მოწერისას. **თევზები** – ჰარმონიული დღეა. პლანეტები გმფარველობენ. ადამიანებთან ურთიერთობაში მეტი ტაქტი და თავშეკავება გმართებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. სპორტული ტანსაცმლის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 2. სევდიანი, ლირიკული ლექსი; 3. ბრუნვის სიჩქარის გასაზომი ხელსაწყო; 4. პოლიტიკური პარტია საქართველოში; 5. ნივთიერება, რომელიც ფერს აძლევს ცოცხალი ორგანიზმის ქსოვილებს; 7. „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი უნგრელი მხატვარი; 11. ქართველი მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 13. ლითონის ჩაღრმავებული ფორმა შრიფტის ჩამოსასხმელად; 15. ფლიდი, ფარისეველი ადამიანი; 16. თეატრალური სცენის გასანათებელი მოწყობილობა; 18. მონასტერი კასპის რაიონში; 19. მეთექვსმეტე საუკუნის ქართველი ოქრომჭედელი.

**თარაზულად:** 6. ნაკურთხი წყალი; 8. მაწანწალის, მათხოვრის სახელწოდება საფრანგეთში; 9. კერამიკული ნაკეთობის მოსახატი საღებავი; 10. ერთწლიანი მარცვლეული მცენარე; 12. გერმანელი პოეტი; 14. ხიდის ბურჯი; 17. ტვირთბრუნვით, მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ჰოლანდიის ნავსადგური; 20. ქართველი ველომრბოლელი, მსოფლიო ჩემპიონი; 21. ძველბერძენი დრამატურგი; 22. ქართული იუმორისტული ჟურნალი; 23. ისტორიული სატუსაღო პარიზში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. ტაბლეტი; 3. მარილი; 8. არტელი; 10. ლიანოსი; 11. კამეა; 12. მარადია; 14. დებიტი; 15. პრიმატი; 16. ლიოსი; 19. მიტენი; 20. კიმბალა; 21. იონიკა.

**შვეულად:** 1. ტეტრამეტრი; 2. ტაპირი; 3. მილორდი; 4. ლინზა; 5. კრენდელი; 6. ფერია; 7. ვიადუკი; 9. პრერია; 13. მარტი; 17. ოსპი; 18. ეხი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. კალა; 2. პრესი; 3. მანონ; 4. მთა; 5. „ალია“; 6. „პიგმალიონი“; 7. „ილიადა“; 8. იპრი; 9. საგა; 10. სპიჩი; 11. პლანეტა; 12. აკირა; 13. მა; 14. ლაინერი; 15. რაე; 16. ჩაი; 17. კობიაშვილი; 18. ტომ; 19. რამპა; 20. რუბაია; 21. ნობათი; 22. მაკარენა; 23. სნო; 24. პანტა; 25. ამიმია; 26. რეალი; 27. ბურანი; 28. ლორდი; 29. ერესი; 30. ელიტა; 31. ლიანდაგი; 32. ირიდა; 33. იერი; 34. იგავი.

**სურათებზე:** კირა ნაითლი; ლუიშ ნანი.

# მოსკოვში ქართველი სოპრანო მე-12 სართულიდან გადმოვარდა



მოსკოვში მცხოვრები 25 წლის ქართველი სოპრანო ანა ბუბაშვილი მე-12 სართულიდან გადმოვარდა. ანა გნესინების აკადემიაში მეორე კურსზე სწავლობდა. შემთხვევა მოსკოვში მოხდა.

სამწუხარო ინფორმაცია ანას უფროსმა კოლეგამ თამარ ივერმა გაავრცელა:

— ანა მოსკოვში, მე-12 სართულიდან გადმოვარდა. დედა სულ მასთან იყო... ცოტა ხნით თბილისში ჩამოვიდა და ბრუნდებოდა.

დღეს რომ ჩავიდა... კორპუსში მივიდა ბარგით და ასეთი საზარელი სიტუაცია დახვდა. პოლიციის ლენტებით შემორაგული ეზო და ბინა.

ექსპერტიზა გაარკვევს, თვითმკვლელობა იყო თუ რაიმე ფაქტორის ზემოქმედება.

საშინელი, ენით აუწერელი ტრაგედია მოხდა!!! 5 წლის წინ ასევე დაკარგა 14 წლის საღ-სალამათი ძმა... ექსკურსიაზე გული გაუსკდა ბავშვს. რა დააშავა ამ ოჯახმა არ ვიცი. შოკში ვართ ყველა!!

# 89 წლის ქართველი მწერალი ნობელის პრემიაზე წარადგინეს

ნობელის პრემიაზე გერმანულენოვანი ქართველი მწერალი და ფილოსოფოსი 89 წლის გივი მარგველაშვილი წარადგინეს. მწერალი გერმანიის დედაქალაქ ბერლინში ცხოვრობს.

გივი მარგველაშვილი ქართველი ემიგრანტის ტიტე მარგველაშვილის ოჯახში ბერლინში 89 წლის წინ დაიბადა. მამა-შვილი 1946 წელს მოტყუებით აღმოჩნდნენ ბერლინის საოკუპაციო ზონაში, რასაც მათი დაპატიმრება და „გასაბჭოებულ" საკონცენტრაციო ბანაკში მოთავსება მოჰყვა. მამა დახვრიტეს, შვილი კი საქართველოში ჩამოიყვანეს და ნება დართეს, თბილისში ნათესავებთან ეცხოვრა.

გივი მარგველაშვილმა თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტში ისწავლა და ამავე ინსტიტუტში წლების განმავლობაში მასწავლებლად მუშაობდა. გივი მარგველაშვილი წერდა რომანებს, მოთხრობებსა და პიესებს გერმანულ ენაზე, მაგრამ მისი არც ერთი ნაწარმოები არ დაბეჭდილა.

80-იანი წლების ბოლოს, გივი მარგველაშვილს პირველად მიეცა უფლება 40 წლის შემდეგ გერმანიაში ჩასულიყო. გერმანიაში გამოქვეყნდა გივი მარგველაშვილის მრავალტომიანი რომანის, „კაპიტანი ვაკუშის", 2 ტომი, რომანები „მუცალი" და „დიდი კორექტურა", პროზაული კრებულები „გადაუგდებელი ხელთათმანი", „სიცოცხლე ონტოტექსტში".

გივი მარგველაშვილი ცნობილია როგორც ფილოსოფოსი და გერმანული ეგზისტენციალიზმის აღიარებული სპეციალისტი.



1997 წელს გივი მარგველაშვილი აირჩიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად, 2006 წელს მას გოეთეს მედალი მიენიჭა, 2013 წელს კი საქართველოში დაწესდა გივი მარგველაშვილის სახელობის პრემია და მისი პირველი მფლობელი თავად გერმანელ-ქართველი მწერალი გახდა.

# პანტომიმის თეატრი „ვეფხისტყაოსანს" დგამს




პანტომიმის სახელმწიფო თეატრი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს" დგამს. წარმოდგენაზე თეატრის დამაარსებელი ამირან შალიკაშვილი დასთან ერთად მუშაობს. სპექტაკლის პრემიერა ახალ თეატრალურ სეზონზეა დაგეგმილი.

52-ე სეზონს პანტომიმის თეატრი 16 სექტემბერს ამირან შალიკაშვილის მიერ დადგმული სპექტაკლით „კიდევაც დაიზრდებიან" გახსნის. თეატრი, რომელსაც კუთვნილი შენობა არ გააჩნია და რუსთაველის გამზირზე დროებით, უმძიმეს პირობებში მუშაობენ, ერთგულ მაყურებელს ბევრ სიახლეს ჰპირდება.

წლევანდელ სეზონზე დასი მაკედონიაშია მიწვეული, სადაც საერთაშორისო ფესტივალში საქართველოს სახელით მიიღებს მონაწილეობას.

# ქართველმა საოპერო მომღერლებმა ავსტრიაში გაიმარჯვეს

ავსტრიის ქალაქ გრაცში საოპერო ხელოვნების აკადემიის, აკადემია ბელკანტოს მეორე საერთაშორისო მუსიკალური კონკურსი გაიმართა. კონკურსის ხელმძღვანელია აკადემია ბელკანტოს პრეზიდენტი, ავსტრიაში მცხოვრები ქართველი ნათელა ნიკოლი — ნატო ჭყონია.

საოპერო ხელოვნების აკადემია ნათელა ნიკოლმა 4 წლის წინ დააარსა და მას თვითონვე ხელმძღვანელობს. აკადემიის მიზანია, ინტენსიური საზაფხულო კურსების ფარგლებში, საოპერო მომღერლები სცენისთვის მოამზადოს. პირველი კურსი ამ აკადემიის ეგიდით დაარსებისთანავე ჩატარდა.

ოთხმა ქართველმა შემსრულებელმა — ოთარ ჯორჯიკიამ, ირაკლი მურჯიკნელმა, მარიამ ნაჭყებიამ და გიორგი მჭედლიშვილმა კონკურსზე ნამდვილი ფურორი მოახდინეს, ოთხივემ კონკურსის სხვადასხვა ნომინაციებში გაიმარჯვა.



პირველი ადგილი ოთარ ჯორჯიკიამ დაიმსახურა, მეორე ადგილი ირაკლი მურჯიკნელმა, მარიამ ნაჭყებია როსინის საუკეთესო შემსრულებლის პრიზით დაჯილდოვდა, ბარიტონი გიორგი მჭედლიშვილი კი ყველაზე ლამაზი ხმისთვის.

# მინსკში „თბილისობა" აღნიშნეს

ბელარუსის ქალაქ მინსკში თბილისობა აღნიშნეს.

მინსკის თავისუფლების მოედანზე გამართული თბილისობა ბელარუსში მოქმედი ქართული დიასპორული ორგანიზაციის ორგანიზებით ჩატარდა.

ღონისძიებას საქართველოს სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში გელა დუმბაძე, მინსკის მერი ანდრეი შორეცი და საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩი ბელარუსის რესპუბლიკაში დავით კოტარია ესწრებოდნენ.

თბილისობაზე მისულ სტუმრებს ფესტივალის ფარგლებში ქართული კულტურისა და ფოლკლორის გაცნობის, ასევე ქართული კერძების დაგემოვნებისა და მათი მომზადების შესაძლებლობა მიეცათ.

ფესტივალი თავისუფლების მოედანზე გამართული კონცერტით გაგრძელდა, სადაც ქართული სიმღერები კახაბერმა და ხანუმებმა შეასრულეს.

ბელარუსის რესპუბლიკაში ქართული კულტურის დღეები უკვე მეორედ აღინიშნა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესის" სარედაქციო კოლეგიის წევრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კოლეგიის წევრი, გამოჩენილი მეცნიერი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, კათედრის ხელმძღვანელი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

**იაკობ მესხია**

და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი ქართველი მეცნიერის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ

**იაკობ (იაშა) მესხიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახის წევრებს, მეგობრებსა და კოლეგებს.

მურად და რუსიკო ანჯაფარიძეები ღრმა მწუხარებას გამოხატავენ ოჯახის მეგობრის, შესანიშნავი პიროვნებისა და ღირსეული აფხაზეთელის

**როსტომ თოლორდავას**

გარდაცვალების გამო.

სამძიმარს უცხადებენ ოჯახს, ნათესავებსა და ოჩამჩირის საზოგადოებას.

დაკრძალვა: 13 სექტემბერს, ჩხოროწყუს რაიონის, სოფელ მუხურში.

აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია თანაუგრძნობს ბატონ ენვერ თოლორდავას ოჯახს უმცროსი ძმის, შესანიშნავი მამულიშვილის

**როსტომ თოლორდავას**

გარდაცვალების გამო.

ასოციაცია მესხეთის კოლექტივი მისი ხელმძღვანელის ამირან მექვაბიშვილის

სახით იუწყება პროფესორ

**ალექსანდრე ბერაიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

*სპორტი*

# საბა კვერკველია კრასნოდარში?



საქართველოს ნაკრების და ყაზანის რუბინის ცენტრალური მცველი საბა კვერკველია შესაძლოა კრასნოდარში აღმოჩნდეს.

კვერკველიას რუბინში რთული მდგომარეობა აქვს, რადგან ახალი მწვრთნელის მოსვლის შემდეგ ძირითადში ადგილი დაკარგა, რის გამოც რუბინის დატოვებას არ გამორიცხავს.

კვერკველიას შეძენა კრასნოდარს სურს, მაგრამ როგორც თვითონ ფეხბურთელი ამბობს, გადაწყვეტილი არაფერია.

კრასნოდარი რუსეთში ძლიერ გუნდად ითვლება და წელს ევროპის ლიგაზეც ასპარეზობს. აღსანიშნავია, რომ კრასნოდარში უკვე არის ერთი ქართველი ფეხბურთელი, თორნიკე ოქრიაშვილი.

# ბალოტელიმ ლივერპულში გადასვლას შეცდომა უწოდა



იტალიელმა ფორვარდმა მარიო ბალოტელიმ თავის წარსულზე ისაუბრა და თქვა, რომ ლივერპულში გადასვლა მის ცხოვრებაში ყველაზე დიდი შეცდომა იყო.

ბალოტელის თქმით, ის ლივერპულში თავს ბედნიერად არ გრძნობდა და მისი ცუდი თამაშიც სწორედ ამის ბრალი იყო.

მარიომ აღიარა, რომ ბედნიერია იმით, რომ ლივერპულიდან წამოვიდა.

ამჟამად ბალოტელი ფრანგული ნიცას ღირსებას იცავს და ამ გუნდის მაისურით ჩატარებულ პირველივე შეხვედრაში დუბლი შეასრულა.

ნიცა 4 ტურის შემდეგ საფრანგეთის ჩემპიონატში მეორე ადგილს იკავებს.

# იუვენტუსი დიბალას გაყიდვას არ აპირებს



იუვენტუსის პრეზიდენტმა მაროტამ არგენტინელ ვარსკვლავ პაულო დიბალაზე ისაუბრა და თქვა, რომ ის არ იყიდება და მალე მასთან იუვენტუსი ახალ კონტრაქტს გააფორმებს.

დიბალა ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ახალგაზრდა ფეხბურთელია და მისი შეძენა ბევრი გრანდის სურვილია. დიბალათი ისეთი გუნდებიც იყვნენ დაინტერესებულნი, როგორებიც რეალი და ბარსელონაა.

თვითონ დიბალამ მესისთან ერთად თამაშის სურვილი გამოთქვა, მაგრამ იუვენტუსს ამ საკითხზე თავისი აზრი აქვს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# პროგრამა

**სამშაბათი 13 სექტემბერი**

**07.00** დოკ/სერ "ცნობისმოყვარეობა. უჯრედში მოგზაურობა" **08.00** ან/სერ "ჯიმი ნიუტრონი-გენიოსი ბიჭუნა" **08.30** ზღაპარი. "რკინის ჰანსი" **10.00, 12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **10.10** ტ/სერ. "წინ წარმატებისკენ" **11.00, 19.00** ტ/სერ. **"წინ წარმატებისკენ" 12.20** მხ/ფ **"პური" სიყვარული და ფანტაზია"** (ჯ. ლოლობრიჯიდა) **14.10** ტ/სერ. **"ადვოკატები" 14.50** დოკ/სერ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" **15.35** "ეკიპაჟი" **16.30** "ეკონომეტრი" **17.00** დოკ/სერ "ცნობისმოყვარეობა. იელოუსტოუნის გაშუქება" **20.00** მოამბის სტუმარი **21.30** "ინტერვიუ სალომე ასათიანთან ერთად" **22.20** ეპოქის ფრაგმენტები **22.40 ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის მატჩი **00.40** მხ/ფ **"40 წლის უბიწო ბიჭი"** (ს.კარელი) **02.40** მხ/ფ **"მილიონ გირვანქიანი ბანკნოტი"**

**08.00** დ/ფ "კატასტროფა ანდებში" **09.00** დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** მინი/სერ **"ოპერაცია "მფრინავი" 12.00** ტ/სერ **"ცოდვა და სირცხვილი" 13.00** ტ/სერ **"ჩენტო ვეტრინე" 14.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "კატასტროფა ანდებში" **18.00, 21.00** "არჩევნები **2016" 20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **21.50, 01.10** ტ/სერ **"ზღვარს მიღმა" 22.40 ფეხბურთი** — ჩემპიონთა ლიგა" ჯგუფური ტურნირი **00.40** "ნამდვილი დრო"

**05.30** სერ. **"ბამბის ველი" 06.30, 16.00** სერ. **"თანხმობა" 07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.00** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. **"ერთი სიყვარულის ამბავი" 7** სერ. **11.20** სერ. **"სიყვარულის ჟამი" 12.30** დღის შოუ **14.40** სერ. **"ფიცი" 17.35, 19.03** სერ. **"პატარძალი" 20.55** სერ. **"შავი ვარდი" 7** სერ. **22.00** ცოდნა ფულია **23.30** სერ. **"ჰეროკრატია (9+1)" 4** სერ. **00.30** გრიფით საიდუმლოო **01.00** მხ/ფ **"ჩემი როლი ცხოვრებაში" 03.15** მხ/ფ **"წყვდიადის სამეფო: ევოლუცია"**

**06.00** სერ. **"დაკარგული ბავშვობა" 06.45** სერ. **"გაბრიელა" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. **"დინასტია" 12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. **"დედოფლის სევდა" 15.55** სერ. **"ინდური საგა" 16.55** სერ. **"ცხოვრების გზები" 18.50** სერ. **"შენი ზოდიაქოს ფერი" 19.50, 20.05** სერ. **"დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა" 22.00** არჩევანი **- 2016 00.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

GDS **8.00** ან/სერ. **"ვარსკვლავური ომები" 9.00, 19.30** სერ. **"მენტალისტი" 10.00, 18.30** სერ. **"კარგი ცოლი" 11.00** სერ. **"გრეის ანატომია" 12.00 59** წამი **13.30, 2.55** სერ. **"ძვლები" 14.30** ცოლები და ქმრები **15.00** გვიანი შუადღე **17.00** სერ. **"მსახიობი მამა" 18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.20** არჩევნები **2012** დაიჯესტი **20.30 20.30 22.30** სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები" 23.30** სერ. **"ამერიკული საშინელებათა ისტორია" 0.30** მხ/ფ **"რას მალავს სიცრუე"**

**06.10** სპექტაკლი **"მტრედის მოტანილი ბარათები"** || **07.55** საქართველოს სამართლის ისტორია **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 01.30** სიახლენი **10.35** პატერიკი-შენდობის აუცილებლობა **10.40** არის ასეთი ქვეყანა,მას საქართველო ჰქვია "ზესტაფონი" **11.10** დ/ფ "მცხეთა წმინდა ქალაქისვეტიცხოველი" **11.40** საეკლესიო აღმშენებლობა **12.10** მხ/ფ **"დათა თუთაშხია" 13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** ერთი წვეთი **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ანიმაციური ფილმი **15.30** ტელეზღაპარი "თორმეტი თვე" **16.00** საყმაწვილო ენციკლოპედია **16.25** სიმღერის კვალდაკვალ "ბერმუხა" (ხულო) **17.45** სიბრძნისმეტყველება "ეკლესიასტე" **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მოკ. მხ/ფ **"წითელი ბუშტი" 20.00** ღია აუდიტორია-"მამა ადამი (ახალაძე)-ბავშვის დაბადების საიდუმლო" **20.40** ძილი ნებისა "კომბლე" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია "აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველების შესახებ" **22.25** ჩვენი ფონდი "ბუბა კუდავავინ იყო დოლისყანის ქტიტორი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.45** ქვიშანი დარჩებიან **00.30** ერთსულოვნების სალონი **01.00** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **8.00** სერ. **"ტატიანა" 10.05, 0.00** სერ.**"ცენტრალური საავადმყოფო" 11.05** სერ.**"ვერონიკა" 12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.35** სერ.**"უკანასკნელი მაგიკიანი" 13.00, 14.05, 1.00** სერ.**"გულს ვერ უბრძანებ" 15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ.**"სიყვარულის იმპერია" 16.05, 17.05** სერ.**"კარმელიტა ბოშური ვნება" 18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05** სერ.**"ცხოვრება რომელიც არ ყოფილა" 20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.00** "ღამის კონტაქტი" **22.30** სერ.**"ესკობარი"**

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**13 სექტემბრისთვის**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.3117

ევრო — 2.6046

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0755

100 რუსული რუბლი — 3.5900

**ამინდის პროგნოზი 13 სექტემბრისთვის**





## 13 სექტემბრიდან

# პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი

**ვიქტორ ჰიუგო**




**მთელი რომანი ერთ წიგნში!**

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**


## იუმორი



აფთიაქში ახალგაზრდა წყვილი შედის. გოგონა გამყიდველს ხმამაღლა მიმართავს:

– რომელი პრეზერვატივები გაქვთ?

– აი, იმ ვიტრინასთან მიბრძანდით და თავად შეარჩიეთ.

ამ დროს ყმაწვილმა გამყიდველს გადაულაპარაკა:

– ძილის წამალიც გამოაყოლეთ, თუ შეიძლება.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– შენი აზრით, მილიონი ბევრია თუ ცოტა?

– გააჩნია, რა შემთხვევაში.

– ეგ როგორ?

– ეგ იმაზეა დამოკიდებული მის გამომუშავებას აპირებ თუ დახარჯვას.

•••

ბიჭი გოგოს ტელეფონზე ელაპარაკება და ეკითხება:

– რამდენია შენი სიმაღლე?

– 145 სანტიმეტრი.

– მართლა? რა პატარა ყოფილხარ და რამდენს იწონი?

– კიდევ უფრო ნაკლებს, 120 კილოგრამს.

•••

ქალი მამაკაცს ეკითხება:

– უკაცრავად, თქვენ მფრინავი ხართ?

– არა.

– აბა, რატომ ჩაუფრინეთ ასეთ სილამაზეს?

•••

ერთი მეზობელი მეორეს ეკითხება:

– ვინ ღრიალებს ასე ხმამაღლა?

– ჩვენი მეზობელი ცისანაა...

– რა, მშობიარობს?

– არა, ფეხმძიმდება.

•••

მოსამართლე მამაკაცს ეკითხება:

– რატომ შორდებით მეუღლეს?

– იმიტომ, რომ ღამით მაღვიძებს და ჩამჩურჩულებს: „შენი წასვლის დროა“.

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– მომისმინე, ბიჭო, მანქანა მაინც იყიდე!

– რისთვის?

– გავისეირნებდით, გავერთობოდით!

– ხომ არ აჯობებდა, ცოლი მოგეყვანა...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.






## 9 სექტემბრიდან




ლევან ბრეგაძე

# ყოფითი რწმენა-წარმოდგენები

ამ წიგნში თავმოყრილია საქართველოში წინათ და ნაწილობრივ ამჟამადაც გავრცელებული ხალხური ყოფითი რწმენა-წარმოდგენების ნიმუშები. მაგალითად: თუ ხანგრძლივად გასლოკინებთ, ვილაც თქვენს ძვირს ამბობს, ვინც ქალაქში პირველად ჩადის, კენჭი უნდა ჩაყლაპოს, რომ ქალაქმა არ დასცადოს, თუ მეზობელს ორშაბათს ფულს ასესხებ, იმ კვირაში სულ ფულის გაცემა მოგიწევს და სხვ. ეს ნიმუშები შეკრებილია ძველი და თანამედროვე ავტორების, მკვლევარ-შემგროვებლების ნაშრომებიდან, აგრეთვე შემდგენლის პირადი კოლექციიდან, კომენტარებით, შენიშვნებით, უცხოური პარალელებითა და ციტატებით.

**ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი**


## სტანისლას ვავრინკამ ამერიკის ღია პირველობა მოიგო



შვეიცარიელმა ჩოგბურთელმა სტანისლას ვავრინკამ ამერიკის ღია პირველობა მოიგო. ფინალში მან მსოფლიოს პირველი ჩოგანი ნოვაკ ჯოკოვიჩი დაამარცხა 4 სეტში ანგარიშით 6:7, 6:4, 7:5, 6:3.

ვავრინკას კარიერაში ეს უკვე მესამე მოგებული დიდი სლემის ტურნირია, იქამდე სტენმა წარმატებას ავსტრალიასა და საფრანგეთში მიაღწია.

აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის ღია პირველობის ფინალში 2015 წელს მან ასევე ნოვაკ ჯოკოვიჩი დაამარცხა.

ფინალის შემდეგ ვავრინკამ ყველა იმ ადამიანს გადაუხადა მადლობა, ვინც მის გვერდით იდგა და იმედი დაიტოვა, რომ ეს გამარჯვება მისთვის ბოლო არ იქნება დიდი სლემის ტურნირებზე.

რაც შეეხება ჯოკოვიჩს, მას მეოთხე სეტში მცირე ტრავმა აწუხებდა, თუმცა სერბმა ჩოგბურთელმა შეხვედრა ბოლომდე ჩაამთავრა.


## 15 სექტემბრიდან

# საბავშვო ვეფხისტყაოსანი

სკოლამდელებისა და სკოლის მოსწავლეებისათვის

წიგნი გაფორმებულია XVI-XVII საუკუნეებში მცხოვრები უცნობი მხატვრისა და მამუკა თავაქარაშვილის მიერ შესრულებული ფერადი ნახატებით.




**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**


## ლილი ოლდრიჯი ბულგარის ახალი სახე გახდა



ვიქტორია სიქრეთის ერთ-ერთი „ანგელოზი“, ამერიკელი მოდელი ლილი ოლდრიჯი კომპანია ბულგარის ახალი სახე გახდა. როგორც იტალიურ კომპანიაში განაცხადეს, ოლდრიჯი 2017 წლის მსოფლიო სარეკლამო კამპანიაში მიიღებს მონაწილეობას. ფოტოსესიის ავტორი კი ფოტოგრაფი მარიო ტესტინო იქნება.

კომპანიის ხელმძღვანელმა ჟან-კრისტოფ ბაბენმა განმარტა, თუ რატომ შეარჩია კომპანიამ სწორედ ეს მოდელი და არა ვინმე სხვა ცნობილი მსახიობი ან მომღერალი.

– ვფიქრობ, რომ ბულგარი გაცილებით მეტია, ვიდრე ერთი ადამიანი. ჩვენთვის ის არის მოდელი, რომელის ცხოვრებაც ცხოვრების მრავალფეროვნების წარმოდგენის საუკეთესო საშუალებას იძლევა, – განაცხადა მან.

რეკლამა ოლდრიჯის მონაწილეობით ბეჭდვით მას მედიაში მიმდინარე წლის ნოემბრის ნომრებში გამოჩნდება, მათ შორის ვოგსა და უოლს სტრიტ ჟურნალში.

მანამდე ბულგარისთან თანამშრომლობდნენ მსახიობი ჯულიანა მური და საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის მეუღლე კარლა ბრუნი-სარკოზი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ნეიმარმა მუსიკოსობა გადაწყვიტა



ბარსელონას და ბრაზილიის ნაკრების ვარსკვლავმა ნეიმარმა მუსიკალური კარიერის დაწყება გადაწყვიტა. ამის შესახებ ნეიმარმა თავისი ტვიტერის გვერდზე დაწერა და თქვა, რომ მისი პირველი სიმღერა ოთხშაბათს გავრცელდება ფეისბუქზე.

არ არის გამორიცხული, ნეიმარმა ალბომიც გამოუშვას, რომელსაც ის ნეიმუსიკას დაარქმევს. ამაზე მეტი ბრაზილიელ ფორვარდს არაფერი უთქვამს.

რაც შეეხება ფეხბურთს, ნეიმარის ბარსელონა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის შეხვედრას სამშაბათს, შოტლანდიური სელტიკის წინაალმდეგ გამართავს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. საიდუმლო დოკუმენტების დამტარებელი მთავრობის ან სამხედრო უწყების კურიერი; 2. სპარსულ-ტაჯიკური პოეზიის ფუძემდებელი; 3. იმპრესიონიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი ფრანგი მხატვარი; 4. ტიბეტის ადმინისტრაციული ცენტრი; 5. გერმანიის პირველი რაიხკანცლერი; 6. შოკოლადის მწარმოებელი ამერიკული კომპანია; 7. ყირგიზეთის დედაქალაქი; 9. პოპულარული ტყე-პარკი პარიზში; 13. ფანტასტიკური ჟანრის ფრანგი მწერალი; 17. ძვირფასი ქვა, რომელზედაც ამოკვეთილია წარწერა ან ორნამენტი; 18. უკრაინული ბორში.

**თარაზულად:** 1. მოკლე დისტანციაზე მოასპარეზე სპორტული ცხენი; 3. ჰორიზონტალური სამშენებლო კონსტრუქცია; 8. სარეცხი მანქანის გამომგონებელი ამერიკელი ინჟინერი; 10. თამბაქოს წარმოების ცენტრი თურქეთში; 11. რაიმე პროცესის, სამუშაოს დასრულებული პერიოდი, დროის გარკვეულ მონაკვეთში; 12. ფრანგული სიგარეტი; 14. წითელი ფერის იტალიური ღვინო; 15. გერმანული ჟურნალი; 16. ბოულინგის მეორე სახელწოდება; 19. ულრანი, გაუვალი ტროპიკული ტყე; 20. ექიმის სპეციალობა; 21. ქალაქი შვეიცარიაში, სადაც განთავსებულია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის რეზიდენცია.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**


ლურჯი წითელი ყვითელი შავი